# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№ 31 (9862) 2025 წლის 3 მარტი, ორშაბათი


## „მაგარი ბიჭის“ დიპლომატიური სიკვდილი პირდაპირ ეთერში



8

## ორი დღე გამოდარებამდე

3

**საინტერესო, მრავლისმთქმელი და ფრიად შემაშფოთებელია ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების გამოხმაურება ამ ინციდენტზე — ამერიკელები ერთხმად მხარს უჭერენ პრეზიდენტ ტრამპს, ევროპელები აღფრთოვანებული არიან უკრაინის გამანადგურებელი ზელენსკის „უმაგალითო სიმამაცით“!**



საქართველოს სამეფო ოჯახი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 1 მარტს გარდაიცვალა საქართველოს სამეფო სახლის მეთაური და საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამძღოლი, მისი სამეფო უმაღლესობა

## ბატონიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონი-გრუზინსკი

მოგახსენებთ, რომ პანაშვიდი გაიმართება თბილისის სამების საკათედრო ტაძარში 4 და 5 მარტს, ხოლო დაკრძალვა მოხდება მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის საოჯახო აკლდამაში, 6 მარტს 15 საათზე.

### სულმა სული იცნო





## რბის ორი ქალი

5

რბის ორი ქალი
მათ ისტორია ვერ დააფეთებს...

გალაკტიონი

### დღის ციტატა



## პრეზიდენტ ტრამპს გამძლეობას და მხნეობას ვუსურვებ

...ბრძოლა ომის პარტიასა და მშვიდობის მოსურნე ძალებს შორის გადამწყვეტ ფაზაში შედის. დავიტოვოთ იმედი, რომ ეს ბრძოლა მშვიდობის გამარჯვებით დასრულდება. რაც უფრო ადრე დასრულდება ომი უკრაინაში, მით უფრო ნაკლები უკრაინელის სიცოცხლე გაიწირება და მით უფრო ადრე დაისადგურებს მშვიდობა, მთლიანად რეგიონში.პრეზიდენტ ტრამპს გამძლეობას და მხნეობას ვუსურვებ ამ რთულ ბრძოლაში.

**ირაკლი კობახიძე**



## აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

6-7

www.sak.ge ელ. ფოსტა: sak@sak.ge

# შალვა პაპუაშვილი: უკეთესია, ომი დასრულდეს ამერიკის მონაწილეობით, რომელიც უკრაინას დაიცავს!






## აშშ თუ პროცესს გაეთიშება, ევროპა და უკრაინა რუსეთის პირისპირ მარტო დარჩებიან

„რის ახსნას და შეგონებას ვცდილობთ სამი წელია რადიკალური ოპოზიციისთვის, მათი გამომყენებელი უცხოელებისთვის და მთლიანად ოპოზიციური ელექტორატისთვის? 2022 წლის 24 თებერვალს ომი არამხოლოდ უკრაინაში, მთლიანად რეგიონში დაიწყო, როგორც მინიმუმ. ამ ომის კონტექსტი ჩვენზეც ვრცელდება. ჩვენი ხელისუფლება, რომელიც ვუშვებდით ომის დაწყების ალბათობას, ვვარაუდობდით მის შესაძლო განვითარებას და მის ზეგავლენას საქართველოზე, ერთადერთ სწორ და მტკიცე გადაწყვეტილებამდე მივიდა – საქართველო არ უნდა გახდეს მიმდინარე ცხელი თუ ჰიბრიდული ომის მონაწილე არცერთ ასპექტში და ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა ნებისმიერ ფასად.

პარალელურად, საქართველომ დაგმო რუსული აგრესია, დაგმო ომი, მოუწოდა მშვიდობისა და ცეცხლის შეწყვეტისკენ, მხარი დაუჭირა უკრაინას, მიიღო დევნილები, გაუგზავნა ჰუმანიტარული დახმარება, საქართველოს საელჩო იყო კიევში დარჩენილი ბოლო დიპლომატიური მისია. ჩვენ არ დავაწესეთ სანქციები (თუმცა, არავის მივეცით საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის შესაძლებლობა), არ გავგზავნეთ მოხალისე-მეომრები ფრონტზე, არ გავზარდეთ ესკალაცია და არ გავამძაფრეთ რიტორიკა. რიტორიკა, როგორც გუშინ თეთრ სახლში დავინახეთ, ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა. ომიდან სამი წლის თავზე ევროპელ ლიდერებს არ აქვთ გეგმა, როგორ აპირებენ მიმდინარე წვეთოვანი დახმარებით უკრაინის მიერ რუსეთის დამარცხებას. რა რესურსი, დრო და სიცოცხლე დასჭირდება ომში გამარჯვებას? ეს კითხვა უპასუხოა. მხოლოდ გვესმის, რომ დახმარება უნდა გაგრძელდეს“, – აღნიშნა პაპუაშვილმა.

პაპუაშვილის თქმით, ქვეყნებს აქვთ თავიანთი ინტერესები და ამ ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, ითვლიან, ანგარიშობენ.

– ამ ომის საკვანძო მოთამაშეა ამერიკის შეერთებული შტატები. ახალმა ადმინისტრაციამ ომის დასრულების მტკიცე დაპირებით მიიღო ხალხის მანდატი. უკეთესია, ეს ომი დასრულდეს ამერიკის მონაწილეობით, რომელიც უკრაინას დაიცავს, ვიდრე მის გარეშე. თუკი აშშ პროცესს გაეთიშება, ევროპა და უკრაინა რუსეთის პირისპირ მარტო დარჩება. ასეთია მსოფლიო პოლიტიკა. ამგვარი ამბები ადრეც მომხდარა და კიდევ ბევრჯერ მოხდება. ქვეყნებს აქვთ თავიანთი ინტერესები და შესაბამისად მოქმედებენ, ითვლიან, ანგარიშობენ, შესაბამისად ეწყობიან.

საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მცოდნემ იცის ეს, ქვეყნის პასუხისმგებლიანმა ლიდერებმა იციან ეს, განათლებულმა ადამიანებმა იციან ეს, ვინც არ იცოდა, კარგად დაინახა. გაიგო ყველამ, გარდა ვისი? ქართული ოპოზიციური სპექტრისა. ომის დაწყებიდან სამი წლის თავზე, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების შორსმჭვრეტელი და გონივრული პოლიტიკა თუ არ აღიარონ, გაჩუმდნენ მაინც, თეთრ სახლში აშშ-უკრაინის მძიმე შეხვედრის ფონზე, ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა რადიკალური ოპოზიციის, უცხოეთიდან დაფინანსებული ენჯეოების და საქართველოს ექს-პრეზიდენტის ამჩატება.

კიდევ ერთხელ გაგვახსენდა ამ ხალხის სამი წლის წინანდელი უმწიფარი პოსტები სოცქსელებიდან და ჰოლივუდური ესთეტიკის კადრები რუსთაველიდან. ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე მძიმე პროცესების კინოსერიალივით ყურება ოპოზიციური სპექტრის მთავარი მახასიათებელი გახდა. ამ დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის ხალხია, ვისი ხელისუფლებაში დასმაც სურს ზოგიერთ რეგიონრეგიონ მოსიარულე დიპლომატს. გასაგებია რატომ. სამი წლის წინ ხელისუფლება საკუთარ ჭკუაზე ვერ ატარეს, ამჩატებული უმწიფრების მართვა კი ადვილია, – წერს შალვა პაპუაშვილი.

# კირ სტარმერი: ბრიტანეთი და საფრანგეთი უკრაინასთან ერთად სამშვიდობო გეგმას შეიმუშავებენ



**დიდი ბრიტანეთის** პრემიერ-მინისტრის კირ სტარმერის განცხადებით, ბრიტანეთი, საფრანგეთი და უკრაინა შეთანხმდნენ, რომ ერთად რუსეთ-უკრაინის ომის დასასრულებლად საკუთარ სამშვიდობო გეგმას შეიმუშავებენ. ამის შესახებ, სტარმერმა, BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ის და საფრანგეთის პრეზიდენტი, ემანუელ მაკრონი, შეთანხმდნენ, რომ დაიწყებენ მოლაპარაკებებს, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება აშშ-სა და რუსეთს შორის მიმდინარე პროცესებისგან. სტარმერმა ასევე აღნიშნა, რომ ფრანკო-ბრიტანულ სამშვიდობო გეგმის შემუშავების პროცესში შესაძლოა “ერთი ან ორი სხვა ქვეყანაც” ჩაერთოს, რაც, მისი თქმით, „მსურველთა კოალიციას” შექმნის.მან აღნიშნა, რომ გუშინ შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს და ესაუბრა ტრამპს და საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს. სტარმერის თქმით, მისი მთავარი მიზანი იყო, ხიდების აგება და მთავარ საკითხთან დაბრუნება

„ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და შესაძლოა ერთი ან ორი სხვა ქვეყანა, უკრაინასთან ერთად იმუშავებს გეგმის შექმნაზე, რომელიც ბრძოლის შეჩერებას უზრუნველყოფს. შემდეგ კი ამ გეგმას აშშ-სთან განვიხილავთ. ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია” - თქვა სტარმერმა BBC-სთან ინტერვიუში.

# ილონ მასკი მომხრეა, შეერთებულმა შტატებმა NATO და გაერო დატოვოს

**ამის შესახებ ის სოციალურ ქსელში წერს. მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ერთ-ერთი მომხმარებლის პოსტს გამოეხმაურა, სადაც ნათქვამია, რომ დროა, ამერიკამ NATO და გაერო დატოვოს.**

# ზელენსკის არაოფიციალურ ბოდიშს სთხოვენ!

**ტრამპის ადმინისტრაციამ უკრაინასთან ურთიერთობის აღდგენისთვის არაოფიციალურად მოითხოვა, რომ ზელენსკიმ საჯაროდ ბოდიში მოიხადოს. ამის შესახებ „ბლუმბერგი“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს.**

**ევროკავშირი** საქართველოში გეგმებს არ ცვლის. რუსეთის საგარეო დაზვერვის ინფორმაციით, „მსოფლიოში მიმდინარე „ეროვნულ-კონსერვატიული შემობრუნების“ გათვალისწინებით, ევროკავშირმა გადაწყვიტა, ქართველ პოლიტიკოსებთან და საზოგადოებასთან მუშაობაში ლიბერალური დაპირებებიდან პოლიტიკურ ზეწოლაზე გადავიდეს. კერძოდ, ევროკავშირი მზად არის დემონსტრაციების მონაწილეებს დღეში 120 ევრო გადაუხადოს.

ამის შესახებ ჩვენი გაზეთი 28 თებერვლის ნომერშიც იუწყებოდა!

„თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლობას მნიშვნელოვანი სახსრები გადაეცა მანიფესტაციების შენარჩუნებისთვისა და კოორდინაციისთვის. დაგეგმილია ანტისამთავრობო გამოსვლების თითოეული მონაწილისთვის დღიური „სამუშაოსთვის“ 120 ევროს გადახდა. საქართველოს ხელისუფლების მიერ ძირგამომთხრელი აქციების დაფინანსების



# ირაკლი გოგავა: შეტევა ტრამპზე... საქართველოში!

## რეალობას მოწყვეტილმა ევროპელებმა გადაწყვიტეს, რომ ტრამპს დაარტყან... საქართველოში

ევროკავშირის არხების დაბლოკვის მცდელობების შემთხვევაში, მუშავდება სომხეთში ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებიდან თბილისში ნაღდი ფულის ჩატანის ვარიანტი“, – ნათქვამია რუსეთის დაზვერვის განცხადებაში.

რუსეთის საგარეო დაზვერვის განცხადების თანახმად, „ბრიუსელს დაქვემდებარებული“ ქართული და ევროპული მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ორიენტირებული არიან ბლოგერებისთვის, ჟურნალისტებისთვის, IT სპეციალისტებისთვის, საქართველოში გადასული რუსებისთვის „ტვინის გამორეცხვაზე“ – ისტორიებით „ერთიან ევროპასთან თანამშრომლობის უპირატესობებზე“ და „ქართული ოცნების“ მიერ არჩეული „პოლიტიკის პრორუსული ვექტორის“ ჩიხზე.

ინფორმაცია, რომელიც გაავრცელა რუსეთის დაზვერვამ, უარყოფენ ბრიუსელში და მიაჩნიათ, რომ ეს ბრალდებები ევროკავშირის წინააღმდეგ სრულიად უსაფუძვლოა. ევროპარლამენტარი რასა იუკნევიჩიენე X-ის საკუთარ გვერდზე წერს, რომ რუსეთის დაზვერვის განცხადება პირდაპირი ჩართულობაა ივანიშვილის მხარდაჭერაში, რადგან, მისი მტკიცებით, რუსეთი მართავს „ქართულ ოცნებას“.

„თუ ვინმე ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ ქუჩის პროტესტები უბრალოდ ლოკალური ბრძოლაა ოპოზიციასა და მთავრობას შორის, რუსეთის დაზვერვის განცხადება საპირისპიროს ადასტურებს. ეს რუსეთის პირდაპირი ჩართულობაა ივანიშვილის მხარდაჭერაში. საშუალება მომეცით შეგახსენოთ: 2020 წელს ბელარუსებს ფულისთვის პროტესტი დააბრალეს. ისევ გამოიყენება კრემლის იგივე ნარატივები. როგორც კრემლმა მხარი დაუჭირა ლუკაშენკოს, ახლა ივანიშვილს უჭერს მხარს. რუსეთი მართავს „ქართულ ოცნებას“. არ შეცდეთ – ეს მხოლოდ საქართველოზე არაა. ეს იმაზეა, რომ რუსეთი იმის დაბრუნებას ცდილობს, რაც მისი გავლენის კანონიერ სფეროდ მიაჩნია. ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის ეს ნათელი სიგნალი უნდა იყოს: მათ მხარი უნდა დაუჭირონ ქართველ ხალხს“, – წერს რასა იუკნევიჩიენე.

ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი, რომელიც ოფიციალურად მხრს უჭერს და ლობირებს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას, ამტკიცებს, რომ საქართველოში სიტუაცია არის ძალიან რთული და იმედს გამოთქვამს, რომ ქართველები გამოსავალს იპოვიან.



„აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებებია, მარტივი ტყუილებია. არ ვიცი, რა მიზნები აქვს რუსულ პროპაგანდას, როცა ასეთ ტყუილებს ავრცელებს, მაგრამ მე შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ ეს არის აღმაშფოთებელი ტყუილი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. საქართველოში სიტუაცია არის ძალიან რთული. იმედი მაქვს, ქართველები აქედან გამოსავალს იპოვიან და ჩემი, როგორც ევროკავშირის ელჩის მოვალეობაა, წარმოვადგინო ევროკავშირის პოზიცია, რაზეც 27 წევრი სახელმწიფო თანხმდება და სწორედ ამას ვაკეთებ აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან“, – განაცხადა პაველ ჰერჩინსკიმ.

იხ. მე-4 გვ.



**საინტერესო, მრავლისმთქმელი და ფრიად შემაშფოთებელია ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების გამოხმაურება ამ ინციდენტზე — ამერიკელები ერთხმად მხარს უჭერენ პრეზიდენტ ტრამპს, ევროპელები აღფრთოვანებული არიან უკრაინის გამანადგურებელი ზელენსკის „უმაგალითო სიმამაცით“!**

# ორი დღე გამოდარებამდე

## კანონმორჩილმა საქართველომ მავნებელი ნაცების ლანძღვა-გინება ხომ არ დავიმსახურეთ?!

**თებერვლის ბოლოს ჩვენმა მითიურმა ძლევამოსილმა მეგობარმა ზევსმა ისე უხვად დაგვაჯილდოვა თოვლით, როგორც უკრაინა მისმა ამერიკელმა მეგობარმა ტრამპმა — ვალებით და რუსმა ისტორიულმა ძმამ პუტინმა — გომბებით.**

**იმედია, ზევსი კიდევ ერთხელ არ გაგვირისხდება, თუ საუბარს უკრაინასთან დაკავშირებული მოვლენებით დავიწყებთ.**

ამ დღეებში გამოქვეყნდა უკრაინულ-ამერიკული ჩარჩო შეთანხმების სრული ტექსტი უკრაინის ბუნებრივი რესურსების, მისი მოპოვება-ტრანსპორტირებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ.

რამე რომ არ შემეშალოს, მოდი, ამ შეთანხმებას გამოცდილი დემაგოგი ეკონომისტის რომან გოცირიძის თვალით შევხედოთ:

შეფასებით **„უკრაინაში სახელმწიფოს კუთვნილი ნებისმიერი მადნის მოპოვებიდან მიღებული შემოსავლის ნახევარი (ინვესტორის მიუხედავად) მიდის ფონდში, რომლის ნახევარი ეკუთვნის ამერიკის მთავრობას. მას ამ ფონდში არაფერი შეაქვს - უკრაინის კუთვნილი შემოსავლებიდან ივსება. ეს ნიშნავს, რომ ფონდში ფული მაინც შევა და მისი ნახევარი ამერიკული მხარის საკუთრებად მაინც იქცევა, ამერიკულმა მხარემ მადნების მოპოვებაში მონაწილეობა, საერთოდ, რომ არ მიიღოს.**

**რაც შეეხება ამ ფულის ხარჯვას, შეთანხმების თანახმად, უკრაინის მიერ გამომუშავებული ფული ინვესტირდება უკრაინაშივე, მაგრამ შემოსავლის ნახევარი ეკუთვნის ამერიკულ მხარეს.**

**საბოლოოდ, ხდება ზუსტად ის, რასაც ტრამპი ბრძანებს — ბუნებრივი რესურსების მოპოვებაში მეწილეობით აშშ-ს უკან უბრუნდება უკრაინისთვის გაწეული დახმარება. მეტიც, ფაქტობრივად, ეს სქემა უკრაინულ რესურსებზე გადასახადის (ხარკის) დაწესების ტოლფასია“.**

ძნელია, არ დაეთანხმო ბატონ რომან გოცირიძის მოსაზრებას, რომ ამ შეთანხმებას აღსრულება არ უწერია. მით უფრო, რუსეთ-უკრაინის ომი ჯერ არ დამთავრებულა და ძნელი სავარაუდოა, რა ულტიმატუმს წაუყენებს პრეზიდენტი პუტინი „მოძმე“ უკრაინას და რაზე შეუთანხმდება „მეგობარ“ ამერიკის შეერთებულ შტატებს. იმის დავიწყებაც არ ღირს, რომ ამერიკული ინტერესების სამიზნე „უკრაინული რესურსების“ მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიებზეა განლაგებული.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არც დონალდ ტრამპია დიდად დამთმობი და გულკეთილი პერსონა, არც ვლადიმერ პუტინია „კაი ბიჭი“, არც ქართველი შეყვარებულების მიერ „მსოფლიო პრეზიდენტად“ აღიარებული ზელენსკია დიდად სინდისიერი და არც ევროკავშირი — დიდად ხელგაშლილი, ამ ყბადაღებული 500-მილიარდიანი „შეთანხმების“ პერსპექტივა ერთობ საეჭვოდ გამოიყურება. სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში იგი ახალი პოლიტიკური შტორმის საბაბად მოგვევლინოს.

**სამწუხაროდ, ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამძაფრებს ტრამპისა და ზელენსკის 28 თებერვლის შეხვედრა ჟურნალისტების თანდასწრებით, რომელსაც მთელმა მსოფლიომ უყურა — აშშ-ის პრეზიდენტი ისე ელაპარაკა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის, უკრაინის პრეზიდენტს, როგორც ავტორიტეტული ნახალოვკელი „ძველი ბიჭი“ ვინმე „გოიმ“ ლოტკინელს. რაც მთავარია, თავისი მართლაც „გოიმური“ ყელყელაობით ზელენსკიმ ასეთი მოპყრობა ტრამპისგან ალალად დაიმსახურა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ზელემსკი-ტრამპის „შეთანხმება“ ჩაიშალა. შესაბამისად, არც ერთობლივი პრესკონფერენცია გამართულა. აშშ-ის პრეზიდენტმა „მეგობარ“ ზელენსკის კარისკენ მიუთითა და, ფაქტობრივად, მაშინვე ამერიკიდანაც გააძევა.

საინტერესო, მრავლისმთქმელი და ფრიად შემაშფოთებელია ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების გამოხმაურება ამ ინციდენტზე — ამერიკელები ერთხმად მხარს უჭერენ პრეზიდენტ ტრამპს, ევროპელები აღფრთოვანებული არიან უკრაინის გამანადგურებელი ზელენსკის „უმაგალითო სიმამაცით“!

**სხვისა რა გითხრათ, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მეგობარ ევროპელ მაღალჩინოსნებს ძალიან ეშინიათ, ზელენსკიმ პირი არ დააღოს და ჩვენი კულუარული მეგობრობის საიდუმლო არ გადმოაფრქვიოსო. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი მართლაც აქეთკენ მიდის.**

**ვნახოთ, ორიოდე დღეც და ყველაფერს ნათელი მოეფინება.**

* * *

**დავუბრუნდეთ** ბებერი ბერძენი ზევსის მრისხანებას საქართველოში.

თითქმის მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში რადიკალ ოპოზიციონერთა უაზრო და უშედეგო ქარაშოტს ზევსს (ვერც ოლიმპოს მთის ბინადარ სხვა ღმერთებს) ვერ დავაბრალებთ — კოლექტიური გვარამია და მეგობარი კაია კალასი გაგვიბრაზდებიან. აი, შავი ზღვის აბობოქრება კი მისი დამსახურება უნდა იყოს. თუმცა, მანაც შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა და ხელისუფლებასთან მოთამაშე მშობლიურ ოპოზიციას კოზირი არ მისცა.

სხვა საქმეა თებერვლის მიწურულს გასაკვირი და მოულოდნელი ხუთდღიანი დიდთოვლობა დასავლეთ საქართველოში.

ეს იყო ბუნების მართლაც იშვიათი მრისხანება. აჭარის, გურიის, იმერეთის მაღალმთიან რეგიონებში დიდთოვლობა ჩვეულებრივი მოვლენაა და მას ადგილობრივები მომზადებული ხვდებიან — წინასწარ იმარაგებენ საკვებსა და სათბობს. ამჯერად კი თოვლის უზარმაზარმა მასამ დაფარა რეგიონის სუბტროპიკული ნაწილი, რისთვისაც მოსახლეობაც და სახელმწიფოც მოუმზადებელი აღმოჩნდა — ჩაიკეტა სოფლებთან მისასვლელი გზები, შეწყდა გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება, გამოილია საკვები, წყალი და სათბობი მასალები.

არადა, დიდთოვლობის შესახებ წინასწარ ყოველთვის იციან, მაგალითად, მეგობარი იაპონიის მთავარ კუნძულ ჰონსიუს ჩრდილოეთ ნაწილში. უზარმაზარი ყინვების შესახებ წინასწარ იციან აღმოსავლეთ ციმბირსა და ჩუკოტკაზე. სამმეტრიანი თოვლი კი იმერეთსა და გურიაში ყოველ წელიწადს არ მოდის. ღმერთმა დაგვიფაროს და, სუბტროპიკულ გურიაში 15-გრადუსიანი ციმბირული ყინვა რომ გვესტუმროს, აუცილებლად მოუმზადებელი შევხვდებით. მიზეზი? — ასეთი მოვლენის უპრეცედენტობა და, შესაბამისად, მოუმზადებლობა.




არ იფიქროთ, ხელისუფლებას ვამართლებდე — მას ერთი თვით თუ არა, ორი კვირით ადრე მაინც უნდა სცოდნოდა (ეკითხა რომელიმე ნაცლიდერისთვის და უეჭველად ეტყოდა!), რომ ნოღაში, ტოლებში, ოფეთში, ნიგორზღვაში, საჭამიასერზე, ჯუმათში, ჭონჭკათში, გორმაღალში და კიდევ სულ რაღაც სამასიოდე სოფელში ამხელა თოვლს დადებდა; ტრაქტორები, გაზის მილები, ელექტროსადენები, პროდუქტები მოემარაგებინა და სახურავებზეც გადამთოვლელები წინასწარ გაემწესებინა — დათოვლილ სახურავზე აძრომა ხომ გაცილებით უფრო რთულია! რაც მთავარია, წინასწარ უნდა გამოეცხადებინა ოპომაშველთა მობილიზაცია და მოემზადებინა ბანაკები მათი ღირსეული ცხოვრებისთვის სტიქიის ცენტრებში!

აი, ეს რომ გაეკეთებინათ, რონდელის ფონდის მკვლევარ ბატონ **ბატიაშვილს** ამის თქმა არ დასჭირდებოდა:

**„იცით, რატომ არიან რუსქოცები განსაკუთრებულად აღრენილები გურიაში ჩასულ მოხალისეებზე? — იმიტომ, რომ მათ გააკეთეს ის, რასაც თავად თავი ვერ მოაბეს; იმიტომ, რომ მათ ერთგვარად შეითავსეს სახელმწიფოს ფუნქცია და ეს სერვისი შესთავაზეს თოვლის ტყვეობაში ჩარჩენილ მოქალაქეებს.**

**ის ქოციც კი, ვინც სხვადასხვა მოტივით (ფული, ომის შიში და ა.შ.) ამათ მისცა ხმა, სადღაც დაფიქრდება, მაშინ რაღაში არიან საჭირო ქოცები, თუ ელემენტარულ ფუნქციებს (მაგალითად, თოვლისგან გზის გაწმენდას) არ/ვერ ასრულებენ.**

**სამაგიეროდ, ადგილზე გამოცხადდნენ და დაეხმარნენ ის ადამიანები, რომლებსაც პროპაგანდა ლამის კაციჭამიებად**

იხ. მე-4 გვ.



# ორი დღე გამოდარებამდე

მესამე გვერდიდან

**(„უცხო ქვეყნის აგენტები“, „გლობალური ომის პარტია“ და ა.შ.) ასაღებდა და ასაღებს. აღმოჩნდა, რომ ეს ჩასული მოხალისეები საერთოდ არ იკვებებიან ადამიანების ხორცით.**

**ამ პროპაგანდისტული ხაზის ჩამოშლის ეშინიათ.**

**ამიტომ გურიაში წასული მოხალისეები მხოლოდ თოვლისგან არ წმენდენ გზებსა და სახურავებს. მათ გაცილებით დიდი ფუნქცია აქვთ“.**

დიდი მადლობა ბატონ ბატიაშვილს ინფორმაციისთვის, რომ ნაცოპოზიციას ჯერჯერობით ადამიანის ხორცის ჭამა არ დაუწყია. იმის პატიოსნად აღიარებისთვისაც, რომ კოლექტიურ ნაცს ერი, სამშობლო, თოვლი და სახურავი მუხლებზე ოდნავ ზემოთ და წელზე ოდნავ ქვემოთ ჰკიდია — მისთვის მთავარი ნაცპროპაგანდა და ხელისუფლების ნებისმიერი საშუალებით „გაშავებაა“.

ხელისუფლების გაშავებას ემსახურება აი, ამ მამაცი კოლექტიური ნაცვაჟკაცის უკიდეგანო აღშფოთებაც:

**„სრული უპატრონობა — დედაჩემი და მამაჩემი მარტო არიან სოფელში! იმ უკვალავ თოვლში ორი მოხუცი ჭამდე ვერ მისულა, დასალევი წყალი მაინც რომ ჰქონდეთ!“**

მაპატიეთ, ამის წამკითხველი მეც აღშფოთებული ვარ და ამიტომ ვამბობ — მერე, შე მართლა ახვარო, ვის აბრალებ, თუ შენი მშობლები სოფელში მარტო არიან და ჭამდეც ვერ მისულან! რატომ მიატოვე, ან თოვლის მოსვლის ამბავი რომ გაიგე, რატომ არ ჩააკითხე?! როგორ ზიხარ სახლში, თუ იცი, რომ შენს მშობლებს შიმშილით და წყურვილით სიკვდილი ემუქრებათ!

ნაცოპოზიცია უკიდურესად აღუშფოთებია ხელისუფლების უმოქმედობას ერთ-ერთ სოფელში ხანდაზმული ქალბატონის გარდაცვალების გამო. საბოლოოდ გაირკვა, რომ 106 წლის ქალბატონი დიდთოვლობამდე კარგა ხნით ადრე ავადმყოფობდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი და უამინდობას ან უყურადღებობას მის გარდაცვალებასთან საერთო არაფერი ჰქონია.

**სოციალური ქსელი გადაივსო ამგვარი გულისამრევად ყალბი „აღშფოთებებითა“ და ყოვლად პრიმიტიული მაღალფარდოვანი დეტექტური ჟანრის მინიატიურებით: გურიის ერთ-ერთ სოფელში (სახელი გასაიდუმლოებულია) ნაცმაშველთა ხუთკაციანი (სხვა ვერსიით — სამკაციანი) ჯგუფი ჩადის. ძლივს იკვლევენ გზას ჭიშკრიდან სახლამდე. დიდი წვალების შემდეგ კარს აღებენ. გაყინულ ოთახში რკინის ძველებურ საწოლზე მოხუცი ქალი თვალდახუჭული გაუნძრევლად წევს. ზემოდან ორი საბანი აფარია. მადლობა ღმერთს, ცოცხალია... საბოლოოდ ირკვევა, რომ ეს ქალი სწორედ იმ პოლიციელი რეზოს დედაა, ვინც ერთ-ერთი მისი გადამრჩენელი (გიორგი) აქ გამომგზავრებამდე 5000 (სხვა ვერსიით — 25 000) ლარით დააჯარიმა (სხვა ვერსიით — ჯარიმის ქვითარი მიუტანა)!**

**ხომ დაიჯერეთ — აი, ასეთი კეთილშობილები არიან ნაცმხარდამჭერები და ასეთი უგულოა ხელისუფლება!**

**დიახ, იმ მხარდამჭერებზე მოგახსენებთ, ჩვენს გადასარჩენად დღედაღამ ქუჩაში რომ დგანან, ღვინოში რომ გვიფსამენ, პოლიციელს სილას რომ აწნავენ, არალეგიტიმური ხელისუფლებისაგან ჩვენს გათავისუფლებას და ლეგიტიმური არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარებას რომ მოითხოვენ...**

მაპატიეთ და, ჩვენ, კანონმორჩილმა საქართველომ, ეს დავიმსახურეთ!

ხელისუფლებას წინასწარ უნდა სცოდნოდა დიდთოვლობის ამბავი და შესაბამისი ზომებიც უნდა მიეღოო, გვამუნათებენ ჩვენს საჭმელში ჩამფურთხებელი არარსებული „ჭიპების“ კოლონით „ხელისუფლების მიერ მიტოვებული“ არარსებული ადამიანების გადასარჩენად ამხედრებული პროვოკატორები.

ნება მიბოძეთ, ერთი უმძიმესი არცთუ შორეული ისტორიული ფაქტი შეგახსენოთ.

**1988 წლის 7 დეკემბერს მეზობელი სომხეთის ტერიტორიაზე, სპიტაკის, ლენინაკანის (დღევანდელი გიუმრის), სტეფანავანისა და კიროვაკანის რაიონებში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა — სულ რაღაც ათი წამის განმავლობაში მიწის პირისაგან მთლიანად აღიგავა ქალაქი სპიტაკი, დაინგრა 400 დასახლებული პუნქტი, დაიღუპა 30 ათასი, დაშავდა 20 ათასი და უსახლკაროდ დარჩა 500 ათასი ადამიანი. მაშინდელი შეფასებით, მატერიალურმა ზარალმა 16 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სხვა ქვეყნებთან ერთად, სპიტაკის სამაშველო და აღდგენით სამუშაოებში ძალიან ბევრი ქართველიც მონაწილეობდა, ოღონდ ყური არ მომიკრავს, ამით ვინმეს ეტრაბახოს.**

რაც მთავარია, მაშინაც ელვის სისწრაფით გავრცელდა ბინძური ჭორი, რომ მიწისძვრის შემოქმედი იყო... საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

იმის თქმა მინდოდა, რომ სტიქიური უბედურების, ან მისი შედეგების თავიდან აურიდებლობის ხელისუფლებაზე გადაბრალება ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ. ნაცმოძრაობა განსაკუთრებული ნიჭიერებით არც ამ თვალსაზრისით გამოირჩევა.

ობიექტურობისთვის ბარემ იმასაც გავიმეორებ, რომ 28 თებერვლისთვის იმერეთის, გურიისა და აჭარის მაღალმთიან სოფლებში თითქმის სრულად იყო აღდგენილი გზები, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდება; შეტანილი იყო 250 ტონამდე პირველადი დახმარების პროდუქტები.

ცოტაც უნდა მოვითმინოთ — გამოდარებამდე ორი დღე თუ დარჩენილა. ორ დღეში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, მათ შორის, ყალბი და მავნებლური ნაცოპოზიციის ნამდვილ ზრახვებსაც.



**თეიმურაზ ქორიძე**
01. 03. 2025

# ირაკლი გოგავა:
# შეტევა ტრამპზე... საქართველოში!

მეორე გვერდიდან

**პერჩინსკის მსგავსად ყველგან და ყველაფერში რუსეთის კვალს ხედავს რადიკალური ოპოზიცია, რომელთა უმრავლესობას და მათი ოჯახის წევრებს ბიზნესები აქვთ რუსეთში. ანა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ როცა რუსეთისა და „ქართული ოცნების“ გზავნილები ერთმანეთს ერთი-ერთში ემთხვევა, ეჭვის სივრცეს აღარ ტოვებს, რომ „ქართული ოცნება“ ოკუპანტის ინტერესებს ემსახურება.**

**„ქართული ოცნება“ იმ ტყუილებსა და დეზინფორმაციას ავრცელებს, რომელსაც ოკუპანტი სახელმწიფოს დაზვერვა და ეს დღესავით ნათელი მტკიცებულებაა, თუ ვის წარმოადგენს დღეს „ქართული ოცნება“. ისინი დღეს არა ქართველ ხალხს, არამედ საოკუპაციო რეჟიმს წარმოადგენენ“,** — განაცხადა **ანა ნაცვლიშვილმა.**

ცნობილია, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება და განხორციელება დაფინანსებულია სწორედ ევროკავშირისგან. პროცესების სათავეში ექს-პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დგას და როგორც ირკვევა, სალაროსაც ზურაბიშვილი განკარგავს. უმრავლესობის წევრის **დავით მათიკაშვილის** განცხადებით, ევროკავშირის ელჩი დიპლომატიურ ზღვარს გაცდენილია, დიდი ხანია, წითელი ხაზები გადალახა და არაევროპული ღირებულებების პროპაგანდით არის დაკავებული.



**„სამწუხაროა, რომ ამის თქმა გვიწევს, მაგრამ ფაქტია, ევროკავშირის ელჩი დიპლომატიურ ზღვარს აცდენილია, დიდი ხანია, მან გადალახა წითელი ხაზები. ჩანს, რომ ის „დიფ სთეითის“ რუპორი გახდა საქართველოში. ელჩი ცდილობს, არა ქვეყნებს შორის ურთიერთობების ჰარმონიზაციას, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას და პოზიტიური მიზნების მიღწევას, არამედ, პირიქით, განცალკევების, დაპირისპირების, არაევროპული და ევროკავშირისთვის მიუღებელი ღირებულებების პროპაგანდით არის დაკავებული.**

**დიდი იმედი მაქვს, სიტუაცია გადაიტვირთება და ევროკავშირიდან შემდგომი დიპლომატიური წარმომადგენლები იქნებიან დიპლომატიური მისიის რეალურად შემსრულებლები და არა რაღაც იმ ძალების გამხმოვანებლები, რომელთა მიზნებსაც, სამწუხაროდ, ნამდვილად არ წარმოადგენს არც ჩვენი ქვეყნის ევროპული გზა და არც მისი დემოკრატიული განვითარება“,** — განაცხადა დავით მათიკაშვილმა.

ანალიტიკოსის „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** ადასტურებს, რომ USAID-ის მიერ რადიკალური ოპოზიციური პარტიების დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ საპროტესტო აქციების დაფინანსებას ევროკავშირი აპირებს. მისი თქმით, თუ ხელისუფლება ევროკავშირის მიერ საპროტესტო აქციებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ბლოკირებას მოახდენს, მაშინ შესაძლოა, რომ სომხეთში განლაგებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების მხრიდან „ქეშის“ სახით მოხდეს აქციების დაფინანსება.



**„აი, რას ფიქრობს ადეკვატური, ნორმალური ევროპა საქართველოზე და აქ მიმდინარე მოვლენებზე. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ჩნდება მორიგი შემაშფოთებელი ინფორმაცია: USAID-ის ხაზით ფულადი კალაპოტების გადაკეტვის გამო, საქართველოში საპროტესტო აქციების მატერიალურ წახალისებას სწორედ ევროკავშირი აპირებს.**

**ურსულა ფონ დერ „ბაიდენის“ ბრიუსელი თითქოსდა ერთ მომიტინგეზე დღიურად 120 ევროს გამოყოფას აპირებს. ჩვენი „მესამე სექტორის“ ექსკლუზიური ბუღალტერიის გათვალისწინებით, ადვილად დასაშლელია ეს თანხა როგორც მინიმუმ სამ დაინტერესებულ მხარეზე. გავრცელებული ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ხელისუფლება ამ ფულადი გზავნილების ბლოკირებას მოახდენს, ანტისახელმწიფოებრივ ძალებს საჭირო თანხები „ქეშად“, შესაძლოა სომხეთში განლაგებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების მხრიდან მიაწოდონ,“** - წერს დავით ქართველიშვილი.

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, პოლიტოლოგ **ირაკლი გოგავას** განცხადებით, რუსეთის საგარეო დაზვერვის ინფორმაცია უნიკალური არ არის, რადგან ცხადი იყო, რომ აქციის დაწყების დღიდან ადამიანებს ფულს უხდიან იქ ყოფნაში.



**„საქართველოში არ იმალება ასეთი ინფორმაცია. 200-300 ლარს უხდიან ყოველდღე, რომ შვიდი საათიდან ღამის პირველის ნახევრამდე იყვნენ. რა ციფრსაც რუსეთის დაზვერვა აცხადებს, ეს გამოდის 350 ლარი. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა — თუ 350 ლარია გამოყოფილი დღეში თითო პროტესტანტისთვის და რეალურად 200-300 ლარს ღებულობენ, დანარჩენი 50 ლარი სად მიდის? ჩვენ რაც ვიცით — სალომე ზურაბიშვილი ვისაც აბარია სალარო — ბიუჯეტი, ის ანაწილებს თანხას ამ მონაწილე ორგანიზაციებზე, პარტიებზე და აქტივისტებზე.**

**ამის გამოა, რომ ცუციკებივით ყველა აღიარებს, რომ სალომე არის უზენაესი ლიდერი და ამ დროს ვერც ერთი ვერ იტანს და მეორე მხრივ ნანუკა ჟორჟოლიანია, რომელიც არიგებს ამ ფულს. ეს არის სახე — კუდის ქიცინი ფულისთვის, მლიქვნელობა ფულისთვის. კითხვა მაქვს იმ ბანაკთან — 50 ლარს ვინ იტოვებს? რატომ არ მიდის ბოლომდე ეს თანხა პროტესტანტამდე? ვინ ტეხავს 50 ლარს, ამაზე გასცენ პასუხი! ზოგი პროტესტანტი 200 ლარს ღებულობს და აქ უკვე 150 ლარს უტეხავენ“,** — აცხადებს ირაკლი გოგავა.

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ამ ინფორმაციაში მნიშვნელოვანია ერთი ნაწილი, რომელიც ეხება სომხეთში განთავსებულ ევროპულ საელჩოებს, რომლებიც საქართველოსთვის რევოლუციური ფულის მოწოდებაში არიან ჩაბმული.

**„ეს არ ნიშნავს, რომ სომხეთის მოსახლეობა არის ამაში ჩართული. საქმე ეხება სომხეთში განთავსებულ დასავლეთის საელჩოებს და შესაძლოა, ასე იყოს. მახსოვს, უკრაინაში ევრომაიდანი რომ იყო, იქ უცხოელების რევოლუციური შტაბი ლიეტუვის საელჩოში იყო. საქმე იმასთან გვაქვს, რომ ამ გლობალური ლიბერალური წრეებისგან, მათ შორის ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან თავიდან იყო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობა, ასევე იყო ევროკავშირის ბიუროკრატია და მათ უკან მდგომი ტრანსნაციონალური ფულის მფლობელები, ახლა აშშ ჩამოშორდა ამ მარათონს.**

**ტრამპმა დაარღვია გლობალისტების ინსტრუმენტებად ცნობილი სამთავრობო ორგანიზაციები, საიდანაც ფინანსდებოდა მეხუთე კოლონა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, ამერიკული ფული მოაკლდათ და დაიწყეს წუწუნი, ფული მოგვეცითო. ეს ხალხი არაა იდეოლოგიურად მყარი ხალხი. ეს ლიბერალური დღის წესრიგი მათთვის არის ერთგვარი შირმა, რომ ფული აკეთონ, მივლინებებში იარონ და 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში დაისვენონ. საკმაოდ დიდ ფულზეა საუბარი. რეალობას მოწყვეტილმა ევროპელებმა გადაწყვიტეს, რომ ტრამპს დაარტყან საქართველოში. ეს არის შეტევა ტრამპზე საქართველოში“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირაკლი გოგავა.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

## სულმა სული იცნო

საქართველოს რესპუბლიკა





# რბის ორი ქალი

რბის ორი ძაღლი
მათ ისტორია ვერ დააფეთებს...
გალაკტიონი

**ლანა და სალომე.**
**სალომე და ლანა.**

ერთი – გაქცეული მენშევიკის შთამომავალი;

მეორე – აქ დარჩენილი ბოლშევიკის ასული.

გაქცეულს თავი დავანებოთ.

ისიც ეყოფა, რომ გაქცეულია.

აქ დარჩენილის „საქმენი“ მოვიკითხოთ.

ყველაზე მთავარი:

ქართული არისტოკრატიის განადგურებაში შეტანილი უდიდესი წვლილი.

1924-ში შორაპანთან გაჩერებული მატარებლის ვაგონებიდან სისხლის მდინარეები რომ დიოდა, იმ ტრაგედიის ერთ-ერთი დამყენებელი.

იმ სისხლის სუნი, თურმე, დიდხანს აბოავლებდა იქაური მოსახლეობის პირუტყვს.

პირუტყვნი როგორღა ყოფილან?!

პირუტყვნი ამ წარმოუდგენელი ტრაგედიის მომწყობნი იყვნენ.

იმ მატარებელში, არსებითად, მთელი ქართული არისტოკრატია ამოხოცეს.

და ახლა მისი ასული არისტოკრატობს.

ახლა კი არა, თითქმის მთელი საუკუნეა.

და იმდენს ბედავს, რომ ჯალათების თავკაც მამას რეპრესირებულად აცხადებს.

სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი ასეთად მოუხსენიებიათ.

არა ისტორიის, არამედ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში.

სოციალურ ქსელში გაიოცეს, – ამ საკითხს, საერთოდ, იქ რა უნდაო?!

კითხვა, რა თქმა უნდა, ლოგიკურია.

რეპრესირებულიო, – ჯალათზე წერენ?!

არადა, დახვრეტის ლევან ღოღობერიძისეული მეთოდიც კი არსებობდა: სროლა უკანალში.

* * *

**ახლა გაქცეულის შთამომავალსაც მივხედოთ, საჭირო და ხელსაყრელ დროს, სამშობლოსაკენ გამოქცეულს.**

**სამშობლოსაკენ?!**

**იცის კი, რა არის სამშობლო?!**

განუცდია კი „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი?!“

ერთხელ მაინც აწვია თვალი მამულის კვამლისგან?!

სამაგიეროდ, ჩვენ დავხუჭეთ თვალი მის წარსულზე და სამშობლოს პრეზიდენტად ავირჩიეთ.

და როგორ დაგვიფასა?!

როცა მისი უმსგავსო ქმედებანი არ მოგვეწონა და, ამის სათქმელად, ორბელიანთა სასახლეს მივაშურეთ, ბოლშევიკის, უკაცრავად, მენშევიკის ასულივით გამოგვიხტა და დაგვიცაცხანა:

„რას მომივარდით აქა?!“

და, ალბათ, ეს იყო მისგან ყველაზე გამართული ქართულით წარმოთქმული ფრაზა.

ხომ არაფერი გაუთბია ექვსი წლის განმავლობაში – არც მიუსაფარი მოხუცები მოუკითხავს, არც მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, არც საახალწლო ნაძვის ხესთან მიუწვევია ვინმე, არც, არც, არც...

თავი იმისთვისაც არ შეიწუხა, მასწავლებელი დაექირავებინა და მშობლიური ქართული ენა ესწავლა.

მისგან გაკეთებულ ერთ საქვეყნო საქმესაც ვერავინ დაასახელებს, და მთავრობას იქით ედავება, არაფერს აკეთებთო.

მთავრობას, რომელიც ამისა და რადიკალური ოპოზიციის მავნებლობასაც უმკლავდება და ქვეყანაც წინ მიჰყავს.

ზოგჯერ გიკვირს კიდეც:

ასეთი მუდმივი მტრობის, სახელმწიფოს განუწყვეტელი რყევის ფონზე, ამდენს რომ აღწევენ.



ლევან ღოღობერიძე



ლევან ზურაბიშვილი

* * *

**გაქცეული მენშევიკის გამოქცეული შთამომავლის მავნებლობა დროებით დავივიწყოთ და აქ დარჩენილი ბოლშევიკის ასულს მივუბრუნდეთ.**

ორიოდე წლის წინათ კინოს სახლში, მისი დოკუმენტური ფილმის პრემიერაზე, ჩვენი მხცოვანი პოეტის გვერდით ვზივარ.

ფილმში საკუთარ თავზე გვიამბობს.

მხცოვანი პოეტი, შიგადაშიგ, წამოიძახებს: „გამოსულელებულა, გამოსულელებულა!“

პრემიერის შემდეგ ერთად მოვდივართ.

ფილმზე ვსაუბრობთ. ვეუბნები: „კი, ფილმი არ მოგვეწონა, მაგრამ თვითონ მაინც საინტერესო მოღვაწეა. მრავალმხრივია: კინო, თარგმანი, პოლიტიკა“...

ის: „კი, მაგრამ ნებისმიერ სფეროში, ორი მილიმეტრის სიღრმეშიც არ ჩასულა“.

ისეთი შეფასებაა, ვერაფერს დაუპირისპირებ.

* * *

**ზემოხსენებულ ტრაგედიას გალაკტიონმა პოემა მიუძღვნა: „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“.**

**პოემა „მნათობის“ 1924 წლის მე-5 (სექტემბრის) ნომერში დაიბეჭდა.**

ჟურნალის ის ნომერი გაანადგურეს, გალაკტიონი კი დააპატიმრეს.

პოემაში გალაკტიონი ასეთ მეტაფორას იყენებს: „რბის ორი ძაღლი“.

ერთი მენშევიკია, მეორე – ბოლშევიკი.

რბიან, რომ ენით აღუწერელი ტრაგედიით ისარგებლონ.

დღეს შეგვიძლია, ვთქვათ: რბის ორი ქალი.

არა, ბევრი რბის, მაგრამ ეს ორი სრულიად განსაკუთრებულია.

ტრაგედია ღმერთმა გვაშოროს, იმას ცდილობენ, რომ გაბრიყვებულთა თუ დაფინანსებულთა უაზრო პროტესტით, საკუთარი სარგებელი ნახონ.

სხვათა შორის, წლების წინათ, სააკაშვილის ეპოქაში, ერთმანეთს მტრობდნენ.

როცა მენშევიკის შთამომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ბოლშევიკის ასული კი – საფრანგეთში საქართველოს ელჩი, მთელმა ქვეყანამ შეიტყო მათი კონფლიქტის ამბავი: მინისტრმა ელჩი ძვირად ღირებული აპარტამენტებიდან გამოაძევა.

ახლა კი ერთად არიან, იმის წინააღმდეგ შეკრულან, ვისგანაც ბევრი სიკეთე ახსოვთ.

უფრო სწორად, უნდა ახსოვდეთ.

ოპოარხები ორივეს ერთნაირად ეფერებიან.

მენშევიკის შთამომავალს „ერთადერთ ლეგიტიმურს“ ეძახიან;

ბოლშევიკის ასულს კი იმდენად ანებივრებენ, რომ ფილმი-შედევრის „პირველი მერცხლის“ ავტორად აცხადებენ.

სინამდვილეში, სალომეც ისეთივე ლეგიტიმურია, როგორც ლანა ღოღობერიძე არის ნანა მჭედლიძე.

ერთმა ყოველგვარი სიკეთე და ჩინმენდალი მიიღო საბჭოთა ეპოქაში და, საერთოდ, ყველა დროში.

მეორემ – იქ ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებით გაითქვა სახელი, აქ კი მისი დიდი ღვაწლით მოპოვებული დამოუკიდებლობით უხვად ისარგებლა.

ზვიად გამსახურდიას სიძულვილი მათ ღრმა სულიერ კავშირს განსაზღვრავს.

და ლოგიკურია, რომ ბოლოს სულმა სული იცნო.

და რბის ორი ქალი.

არა, ბევრი რბის, მაგრამ ეს ორი სრულიად განსაკუთრებულია.

დაე, რბოდნენ!

მადლობა ღმერთს, საქართველო დღეს იმდენად ძლიერია, რომ ვეღარაფერს დააკლებენ.

* * *

„რბის ორი ძაღლი: მათ ისტორია ვერ დააფეთებს.“ – წერს გალაკტიონი.

და ვინ იცის, ზოგჯერ შეიძლება, გენიოსიც შეცდეს.

ანუ დააფეთებს...



**იოსებ ჭუმბურიძე**

## სამწუხარო რეალობა

# როდის დაბრუნდებიან ემიგრანტები?



**საქართველოში**, ალბათ, არ არსებობს ოჯახი, ვისაც ერთი წევრი მაინც ემიგრაციაში არ ჰყავდეს. ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემაც ხომ ძირითადად ემიგრანტების მიერ დარიცხულ თანხებზეა ორიენტირებული. თუკი ყველაზე ღირებულის შეძენა გსურს აქ საქართველოში, ბანკში მუდამ ითვალისწინებენ იმ პიროვნების ისტორიას, ვისაც საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების დიდი რაოდენობა ერიცხება. ქართველები კი მიდიან წლობით საკუთარი ოჯახების, შვილების, მეუღლეების, მშობლებისგან შორს და ბევრი მათგანი სამწუხაროდ, უკან აღარ ან ვეღარც ბრუნდება. რამდენჯერ მსმენია თვითონ ემიგრანტებისგან, თუ წავალ – მხოლოდ რამდენიმე წლით, შვილს ვასწავლი, პატარა ბინას ვიყიდი და დავბრუნდები, თუმცა ეს დაბრუნების დრო კი აღარ დგება! ამ ემიგრანტებს შორის არიან ისეთებიც, ვისაც საბუთები აძლევს საშუალებას, რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ წელიწადში რამდენჯერმე, თუმცა ისევ უკან ბრუნდებიან. ისიც მსმენია, ჩამოსულებს უთქვამთ, რაც წავედი, არაფერიც არ შეცვლილა, უფრო მეტი უარესობა დამხვდაო. გაზრდილი ფასები პროდუქტებზე, მედიკამენტებზე და ა.შ. ამიტომაც, რასაც ხედავენ ნეგატიურს, სწორედ ეს აიძულებთ, რომ ისევ მიიღონ გადაწყვეტილება და უკან, ემიგრაციაში დაბრუნდნენ. ის კი არადა, ზოგიერთი ადამიანი, რომელიც წლებია ემიგრაციაში ერთ კონკრეტულ ქვეყანაში იმყოფებოდა, სხვა ქვეყანაში გადადის საცხოვრებლად და სამუშაოდ. ევროპიდან – ამერიკაში და ამერიკიდან-ევროპაში – მათ „მოგზაურობას“ დასასრული არ უჩანს. ვისაც იმის საშუალება აქვს, გარკვეულ თანხას აგროვებს იმისთვის, რომ საკუთარი დიდი ხნის უნახავი ოჯახის წევრი წაიყვანოს თავისთან, რათა წლების ნოსტალგია გაიქარწყლოს, ესეც დიდი საქმეა. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც წასვლის დღიდან, ერთხელაც ვერ ახერხებენ დაბრუნებას და ვერც ოჯახის წევრები მიჰყავთ. აქ მათ ელოდებიან მეუღლეები, შვილები, მშობლები, დედმამიშვილები, შვილიშვილები, უმრავლესობას კი საერთოდაც უნახავი შვილიშვილები ჰყავთ სამშობლოში და მხოლოდ სოციალური ქსელის მეშვეობით უწევთ სრულიად უცხო ოჯახის წევრებთან კონტაქტი. სამწუხაროდ, ასეთ ვირტუალურ ურთიერთობას, ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერანაირი ფიზიკური ურთიერთობა ვერ ჩაანაცვლებს, სულ სხვაა შენ გვერდით მყოფ ოჯახის წევრთან ერთად

იხ. მე-9 გვ.



# აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

**ხანდისხან ასეთი განდიდების მოყვარულნი თავის კომენტარებს უკეთებენ დიდი კაცის ნათქვამს, ქცევას და ეს კომენტარები სავსებით ეწინააღმდეგება ნათქვამის აზრს. შეცდომაში შეყავთ სწორი აზრის გაგების მოსურნენი. სიტყვას მოყვა და უნდა ვთქვა: რამდენი უნებლიე შეცდომა ჩაუდენია ადამიანს, როდესაც არასწორად გადმოუცია ვინმეს — რომელიმე ხელმძღვანელის დავალება ან აზრი. საბოლოოდ დამნაშავე გამოდის არა დავალების გადმომცემი.**

**იგონებდნენ** მოწაფეობის დროს. თვითონ წამოიწყო „ნეტავი, გოგოვ, მე და შენ“. ჩვენც ავყევით.

პირველ ხმას მღეროდა. გვარიანი გამოვიდა. სიმღერა რომ დავასრულეთ, იხუმრა: „რა ვუყო, რომ თქვენი ვოჟდი ვარ. ვიყო თქვენი რეგენტი, ო, როგორ სიმღერებს გასწავლიდით, მაშინ გაგაგებინებდით, როგორ უნდა სიმღერა“.

ჩემ გვერდით იჯდა ცერაძე. როგორც კი ჭიქას დავცლიდი, იმწამსვე ღვინოს დამისხამდა. ჭიქები პატარები იყო. სტალინი ცდილობდა, დავეთვრეთ. ამბობენ, თუ უნდოდა კაცის შესწავლა, უთუოდ დაათრობდა, რომ შემდეგ თვალყური ედევნებინა მისი საქციელისთვის, სიტყვა-პასუხისთვის. ეტყობა, რუსული ანდაზა **что у пяного на языке, то у трезвого в уме**“, კარგი ხერხია ადამიანის შესწავლისთვის. სტალინი ამჩნევდა, რომ ცერაძე სულ მისხამდა ღვინოს. ყველას ჭიქა რომ დაიცლებოდა, ცერაძე იმწუთში დამისხამდა. სტალინი მოვიდა ჩემთან და ყასიდად მკითხა, — შენ რად არა სვამო. ვსვამმეთქი, მაგრამ ჩემი მეზობელი მაშინვე მისხამს-მეთქი. მე არ დამინახავს, შენ როგორ დალიეო. ავიღე და მეორე დავლიე. დალევის დროს სტალინი წავიდა თავისი ადგილისაკენ, მე დავლიე და ჭიქა რომ დავდგი, ცერაძემ მაშინვე დამისხა, სტალინი უცებ მობრუნდა და ჩემი ჭიქა ისევ სავსე დახვდა, რატომ მატყუებო — მე მაშინვე გამოვცალე. კმაყოფილების ნიშნად მან ულვაშებზე ხელი მოისვა. მივხვდი, რომ მას ჩემი დათრობა უნდოდა. მეც ფრთხილად ვიყავი. როდესაც დიდ კაცებთან ხარ, განსაკუთრებით სტალინთან, უკვე მთვრალივითა ხარ და ღვინოც მალე გათრობს. ეს მე კარგად ვიცოდი.

სუფრას მივუსხედით ზუსტად ოთხ საათზე. დაახლოებით სამი-ოთხი საათის შემდეგ სტალინმა გამოაცხადა 20 წუთით შესვენება. ყველანი წამოვიშალეთ. მე ჩარკვიანმა და შარიამ ქვედა სართულზე ჩამიყვანეს. არ ვიცი, საიდან დაიწყო კანდიდსა და შარიას შორის ვასაძეზე ლაპარაკი, მხოლოდ მომესმა: „სულ აკაკის ბრალია“. „რაა ჩემი ბრალი?“ — შევეკითხე მე. „ვასაძე, ო, ვასაძე — გულმოსულმა წამოიძახა კანდიდმა, — შენ არ იცი, ის რა არის, შენ უჭერ მაგას მხარს და ეს შველის“. მე ვერა გავიგე რა, რათ ან რატომ მითხრეს ეს. შესვენების შემდეგ ისევ სუფრას მივუსხედით (ზუსტად ოცი წუთის შემდეგ). სტალინმა ანიშნა, რომ ჩემი სადღეგრძელო დაელია თამადას. სადღეგრძელოებს მხოლოდ ბერია ამბობდა ძალიან მოკლედ. ჩემი სადღეგრძელოს დროს სტალინი წამოდგა, წამოვიდა ჩემკენ, მე მაშინვე ავდექი და კედელს გავეკარ. სტალინმა სთქვა: **Хорава артист всесоюзного класса, первого класса, нет он артист мирового класса, Багашвили первого класса.(„ხორავა საკავშირო კლასის მსახიობია, პირველი კლასის. მაგრამ არა, ის მსოფლიო კლასის არტისტია, ბაღაშვილი კი პირველი კლასისა“.)**



სტალინის აგარაკი

სტალინის ასეთმა შეფასებამ ცრემლები მომგვარა. მომიკაკუნა ჭიქა. ძალზე ავღელდი. შემდეგ მივიდა ბაღაშვილთან, „ა, რას იტყვი, ხომ კარგია კომუნისტური პარტია?“. „კარგია, ბატონო სტალინ“ — უპასუხა ბაღაშვილმა. „კაცო, რა სულ ბატონოს მეძახი, მე მთელი ჩემი სიცოცხლე ბატონებს ვებრძოდი, დამიძახე ამხანაგო“. „კარგი, ბატონო სტალინ“, — უპასუხა ბაღაშვილმა. სტალინმა გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

ვახშმის შემდეგ სტალინმა ყავაზე მიგვიპატიჟა. საუბარი უფრო ეხებოდა მისი მოწაფეობის პერიოდს. ყველას გვიხაროდა, რომ სტალინი მხიარულად გრძნობდა თავს. დავიშალენით ღამის ორ საათზე. გამომშვიდობებისას სტალინს გულზე ვაკოცე. ის გადამეხვია და მაკოცა. რასაკვირველია, მე ბედნიერი ვიყავი...

სტალინი ამ საღამოს იყო ნამდვილი გულუხვი ქართველი მასპინძელი. თვითონ უსხამდა ყველას, თითქმის, ღვინოს. ურჩევდა, რომელი ღვინო დაელიათ (ხმარებაში უფრო ატენური იყო), თვითონ გადმოგვიღებდა თეფშებზე საჭმელებს. ყველას ყურადღებით ექცეოდა. ვამჩნევდი, რომ უფრო ხშირად მე მადევნებდა თვალს. ალბათ, ჩემი შესწავლა სურდა. „ბატონო სტალინ, უთხრა ვახშმის დროს ბაღაშვილმა, — მე არ მომწონს, როგორ თამაშობენ სტალინის როლს კინოში — მე სხვანაირად ვითამაშებდი“. — სტალინმა საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა. დიდათ აკვირდებოდა ბაღაშვილს. იცოდა, რომ ის ფსიქიურად დაავადებული იყო და თითქოს ცდილობდა, გაეგო მიზეზი მისი დაავადებისა. გამოგვემშვიდობა, ეზოში გამოგვაცილა და ჩვენც გახარებულნი წავედით ჩვენს ბინებში. იმდენად ვიყავით აღფრთოვანებულნი, რომ სახლში მოსვლისას კიდევ შემოვუსხედით სუფრას და დიდხანს შთაბეჭდილებათა გაზიარებით ვიყავით გართულნი.

იმ დილით უნდა გამოევლო სპეციალურად გამოყოფილ მატარებელს უმაღლეს საბჭოს სესიაზე მიმავალი დეპუტატებით. მეც ვიფიქრე, რომ სტალინთან სტუმრობა დამთავრდა, და გადავწყვიტე, გავყოლოდი იმ მატარებელს. ჩემს შეკითხვაზე, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ისევ მოგვიხდება სტალინთან შეხვედრა, ეგნატაშვილმა, რომელიც ხშირი სტუმარი იყო სტალინისა, მიპასუხა — არა, მე მგონია, ჩვენი სტუმრობა გათავდა. მე მივდივარ მოსკოვში, წამოდიო შენც. მეც ავიღე ჩემი ჩემოდანი და წავედით ორივენი სადგურზე. ჩავსხედით მატარებელში და გავწიეთ მოსკოვისკენ.

დეპუტატებმა იცოდნენ, რომ ჩვენ სტუმრად სტალინთან ვიყავით. გვეკითხებოდნენ, როგორ იყო, რა თქვა; მე კიდევ არა ვარ ჩვეული, საზოგადოდ, დიდკაცებთან შეხვედრის ამბების მოყოლას — შეიძლება, რომელიმე მომენტი არასწორად გავიგე ან შევაფასე და ამით ჩემი შთაბეჭდილება არ მინდა, ვინმეს თავზე მოვახვიო.

დიდკაცების სიტყვებს, ქცევას არ შეიძლება ზერელედ შევხედოთ. ყოველ მათ ქცევას, სიტყვებს, უთუოდ რაღაც მიზანი აქვს. მე ვგულისხმობ იმ დიდ



**სტალინი ამ საღამოს იყო ნამდვილი გულუხვი ქართველი მასპინძელი. თვითონ უსხამდა ყველას, თითქმის, ღვინოს. ურჩევდა, რომელი ღვინო დაელიათ (ხმარებაში უფრო ატენური იყო), თვითონ გადმოგვიღებდა თეფშებზე საჭმელებს. ყველას ყურადღებით ექცეოდა.**

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ N24, 25, 28-29,30**



კოტემ, მიუხედავად ასეთი სიძულვილისა, მაინც არ მოიშორა თავიდან ახმეტელი და, როგორც ნიჭიერ რეჟისორს, თვლიდა თავის მარჯვენა ხელად. ახმეტელიც უხდიდა კოტეს ღრმა სიყვარულით, ერთგულებით და პატივისცემით.

კაცებს, რომლებიც სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში დიდ ღირებულებას წარმოადგენენ და მათი ავტორიტეტიც დასაფასებელია და მოსავლელი.

ბევრს უყვარს ფამილიარულად მოპყრობა დიდი სახელების მიმართ. ამით, ჰგონია, ხალხის თვალში პრესტიჟი ემატება, მაგრამ როგორი ხალხის — ისეთივესი, როგორიც თვითონ არიან, კარიერისა და ცრუ განდიდების მანიით შეპყრობილთა ასეთი მოქცევა სახელს უტეხს მართლაც საპატივცემულო ადამიანებს.

ხანდისხან ასეთი განდიდების მოყვარულნი თავის კომენტარებს უკეთებენ დიდი კაცის ნათქვამს, ქცევას და ეს კომენტარები სავსებით ეწინააღმდეგება ნათქვამის აზრს. შეცდომაში შეყავთ სწორი აზრის გაგების მოსურნენი. სიტყვას მოყვა და უნდა ვთქვა: რამდენი უნებლიე შეცდომა ჩაუდენია ადამიანს, როდესაც არასწორად გადმოუცია ვინმეს — რომელიმე ხელმძღვანელის დავალება ან აზრი. საბოლოოდ დამნაშავე გამოდის არა დავალების გადმომცემი. ამიტომაც, როდესაც მეუბნებიან ვინმეს დავალებას, ვცდილობ, შევამოწმო უშუალოდ დავალების მომცემთან (როდესაც ეს შესაძლებელია).

მოსკოვში ჩასვლისას მ. ბარამიამ მისაყვედურა, თუ რატომ წამოვედი გაგრიდან — სტალინს მეორე დღეს ისევ მიუწვევია იგივე სტუმრები და, მე რომ ვერ მნახა, გული მოსვლია და უსაყვედურნია ჩარკვიანისთვის, რად გამიქციე სტუმარიო. ახლავე გზიდან დააბრუნეთ და მომიყვანეთო. აბა, ამ სიგრძე გზაზე სად მნახავდნენ.

თბილისში დაბრუნებისას მივწერე სტალინს წერილი, სადაც ვიხდიდი ბოდიშს ჩემი დაუკითხავად გამგზავრებისა გამო და ვუხსნიდი, წვეულება დამთავრებული მეგონა-მეთქი.

რასაკვირველია, ძალიან შევწუხდი, რომ მე გავხდი მიზეზი სტალინის უკმაყოფილებისა და აღელვებისა ჩემი მოსკოვში გამგზავრებისა გამო. მართლაც, რა მიმეჩქარებოდა სესიაზე მოსკოვში, როდესაც დიდ სტალინთან სტუმრად ვიყავი — მოსკოვიცა და სესიაც იქ იყო, სადაც სტალინია.

რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღე ბარათი სტალინისაგან, სადაც ბოდიშს იხდიდა ცუდი მასპინძლობისათვის. წერილი, როგორც წმინდა რელიქვია, შენახული მაქვს.

•

**ვერიკო ანჯაფარიძე** — უბედურება და სიხარული ჩემი თაობის ქართული თეატრის. ადამიანი, რომელიც არასდროს თავის შინაგან, მაინცადამაინც არასახარბიელო ადამიანურ ბუნებას არ გამოამჟღავნებს. ხალხში კეთილშობილების, სამართლიანობის, ხელოვნებისათვის მებრძოლის ნიღაბი აქვს ჩამოფარებული და, უნდა ითქვას, ნიღაბს ოსტატურად ატარებს. ასეთივეა მისი მეუღლე მიხეილ ჭიაურელიც. მსხვილი ნიჭიერი დილეტანტი. კაცი უნდო, მშიშარა, პატივმოყვარე, კარიერისტი, ქვეშ-ქვეშა, პოდხალიმი, რომელიც თავისი კარიერისათვის გაყიდის თავისიანებსაც კი. „ფერი-ფერსაო“... ამბობს ანდაზა — ეს ამ ცოლ-ქმარზეა გამოჭრილი. **დავიწყებ ჩვენი გაცნობის პირველი დღიდან. ანჯაფარიძე არც ცხოვრებაში და არც სცენაზე არ მინახავს ჩემი რუსთაველის თეატრის სცენაზე მუშაობის დაწყებამდე. ისე კი მსმენია, რომ არის ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი. როგორც ვიცი, სწავლობდა მოსკოვში. და ჩვენში ხომ ჩამოსულ კაცს მეტი პატივი აქვს, ვიდრე შინაურს. გავარდნილი ჰქონდა ხმა, რომ იყო ყარაჩოღელი გოგო, უბრალო, უფრო თეატრის ახალგაზრდა ყმაწვილებთან იყო. მათთან ქეიფობდა, დროს ატარებდა. ხანდახან „ყარაჩოღელობას“ იმითაც ამტკიცებდა, ვითომ ხუმრობით, მამაკაცისათვისაც კი უკადრისი გინებაც იცოდა. ეს ყოველივე, ეტყობა, არასათანადო კულტურულ ახალგაზრდობას მოსწონდა და თავის ტოლ-ამხანაგად თვლიდნენ. გათხოვდა შალვა ამირეჯიბზე, რომელიც ქართველ ინტელიგენციას უყვარდა და მის წრეშიც ანჯაფარიძე იყო მიღებული. ჰქონდა გავარდნილი სახელი „обаятельной и богемы“. „მომხიბვლელის და ბოჰემის „ბოჰემურისა“.**

თეატრში ჩემი მოსვლისას ვერიკო გაყრილი იყო თავის ქმართან და გადაკიდებული იყო ჭიაურელს, მგონი, უკვე მისი ცოლიც იყო. ქართველი ინტელიგენცია უკმაყოფილო იყო ანჯაფარიძით, რადგან გაჭირვების დროს ამირეჯიბს უღალატა და არა მაინცადამაინც კარგი სახელის მქონე მიხეილ ჭიაურელს გაყვა ცოლად. ამირეჯიბი და ახმეტელი ახლო კაცები იყვნენ და, რასაკვირველია, სანდროც გამწყრალი იყო ვერიკოზე. არ ვიცი, სხვა რა იყო მიზეზი მათი უთანხმოებისა, მაგრამ ერთი კია, რომ თითქმის ერთმანეთს ხმასაც კი არ სცემდნენ. ანჯაფარიძე ხედავდა, რომ ჭიაურელს მაინცადამაინც ხალხი პატივით არ ეპყრობოდა და იგი ყველაფერს აკეთებდა, რომ როგორმე ჭიაურელს საზოგადოებაში კარგი მდგომარეობა ჰქონოდა. მარჯანიშვილის ჩამოსვლიდან ანჯაფარიძე ცდილობდა ჭიაურელის და კოტეს დაახლოებას, რომ იგი გამხდარიყო კოტეს მარჯვენა ხელი. როგორც ვიცით, კოტემ რეჟისორებიდან სანდრო ახმეტელი აირჩია თავის თანაშემწედ. ყველა რეჟისორი და ვერიკოს ამქარი ახმეტელის გინების მეტს არას სჩადიოდნენ იმ მიზნით, რომ კოტეს გული გასტეხოდა ახმეტელზე და მის მაგიერ რომელიმე ქართველ რეჟისორს დაეკავებინა ახმეტელის ადგილი. რასაკვირველია, ანჯაფარიძე ცდილობდა, თავისი ქმარი, ჭიაურელი გაეხადა კოტეს მოადგილედ. „жулик, аферист, неуч, фашист, бабни“ და სხვა ამგვარი ეპითეტებით უმასპინძლდებოდნენ ახმეტელს. კოტემ, მიუხედავად ასეთი სიძულვილისა, მაინც არ მოიშორა თავიდან ახმეტელი და, როგორც ნიჭიერ რეჟისორს, თვლიდა თავის მარჯვენა ხელად. ახმეტელიც უხდიდა კოტეს ღრმა სიყვარულით, ერთგულებით და პატივისცემით.

ყველას ახსოვს, თუ როგორი უკმაყოფილონი იყვნენ ძველი რეჟისორები კოტესი — ყოველ რეჟისორს ჰყავდა თავისი ჯგუფი, ყოველ დიდ მსახიობს „ჩხეიძე, იმედაშვილი და სხვა.“ — თავისი აჰამრინები. თეატრი და, საერთოდ, საქართველოს თეატრების მუშაკნი დაყოფილნი იყვნენ ჯგუფებად. ახალგაზრდობა უფრო კოტესაკენ იყო.

ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ დააყენა ქართული თეატრის მოღვაწეების წინაშე საკითხი — როგორ უყურებენ ისინი საბჭოთა ხელისუფლებას და იმუშავებენ თუ არა იმ მიზნების მისაღწევად, რასაც გამარჯვებული მუშა და გლეხი ისახავდა. ქართული თეატრის მიღწევათა კონფერენციაზე აუდიტორია ორ ბანაკად გაიყო, ერთი — ვისაც სურდა, დამდგარიყო საბჭოთა პლატფორმაზე და თავისი ნიჭი მშრომელთა სამსახურში ჩაეყენებინა; მეორენი — ვინც კიდევ ებღაუჭებოდა



თეატრში ჩემი მოსვლისას ვერიკო გაყრილი იყო თავის ქმართან და გადაკიდებული იყო ჭიაურელს, მგონი, უკვე მისი ცოლიც იყო. ქართველი ინტელიგენცია უკმაყოფილო იყო ანჯაფარიძით, რადგან გაჭირვების დროს ამირეჯიბს უღალატა და არა მაინცადამაინც კარგი სახელის მქონე მიხეილ ჭიაურელს გაყვა ცოლად.

ძველი თეატრის ნაციონალისტურ იდეოლოგიას. დაარსდა მსახიობთა ახალი კავშირი. ძველი თაობის ხელოვანებმა დემონსტრატიულად დატოვეს კონფერენცია „ქორელი, ანდრონიკაშვილი, ჩხეიძე, იმედაშვილი, ამირეჯიბი, აროზიძე და სხვ.“.

ახალ კავშირში ახალგაზრდებთან ერთად იყვნენ: ფაღავა, გუნია, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. კორიშელი, ს. ზეჟანიშვილი, ნ. გოცირიძე და სხვა.

მარჯანიშვილმა შეადგინა 1923-24 წლის სეზონისათვის დასი საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ძველგაზრდა თუ ახალგაზრდა მსახიობებისაგან, რასაკვირველია, მხედველობაში იყო მიღებული ყველა მსახიობი, ვინც იდგა საბჭოთა პლატფორმაზე და განაცხადებდა საჯაროდ სურვილს, ებრძოლა ახალი ქართული თეატრის შექმნისათვის, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის თანდათან მწვავდებოდა. ეს ბრძოლა გადავიდა საზოგადოებაშიც.

გაგრძელება იქნება



კოტე მარჯანიშვილი, ელენე დონაური და იოსებ გრიშაშვილი

„**დასავლური** მასმედიის მთავარ თემას ამ დღეებში, რა თქმა უნდა, თეთრ სახლის ოვალურ კაბინეტში დონალდ ტრამპსა და ვოლოდიმირ ზელენსკის შორის გამართული შეხვედრა წარმოადგენს, რომელიც მწვავე შეხლა-შემოხლით დასრულდა. რასაკვირველია, ჩაიშალა მინერალებით სარგებლობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა, ხოლო ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავისი ვიზიტი ვადაზე ადრე დაასრულა და ვაშინგტონიდან გაემგზავრა“, – ნათქვამია ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის **„ბიბისის“ (BBC)** მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში სათაურით **„ერთ-ერთი უდიდესი დიპლომატიური კატასტროფა თანამედროვე ისტორიაში“: რას წერს პრესა თეთრ სახლში მომხდარ სკანდალზე“.**



# „მაგარი ბიჭის“ დიპლომატიური სიკვდილი პირდაპირ ეთერში

FINANCIAL TIMES

## მასპინძელმა სტუმარი დაამცირა

**თეთრ სახლში** შეხვედრის შემდეგ, რომელიც იმდენად წარუმატებლად დაიწყო, „რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო“, გასაგები გახდა, რომ აშშ-მა „უარი თქვა უკრაინაზე“, ხოლო ვოლოდიმირ ზელენსკის გუნდმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, - ნათქვამია **„fainenSel Taimsis“** სარედაქციო სტატიაში სათაურით **„ზელენსკი თეთრ სახლში დაამცირეს“.**

„როგორც ჩანს, კიევში, სწორად ვერ შეაფასეს „დონალდ ტრამპის შეუბრალებლობა“: ამერიკის პრეზიდენტი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღო სასარგებლო წიაღისეულით – მინერალებით სარგებლობის შეთანხმებიდან ისე, რომ კიევისთვის სანაცვლოდ ძალიან მცირე მიეცა. მართალია, ხელშეკრულების ბოლო პროექტი, გადამუშავების შემდეგ, ისეთი ხისტი აღარ იყო, როგორსაც თავდაპირველი ვერსია წარმოადგენდა, მაგრამ მასში მაინც არ იქნა შეტანილი უკრაინის უსაფრთხოების დაცვის არანაირი პირობები. დონალდ ტრამპის მტკიცება, რომ უკრაინაში ამერიკელი მუშების ყოფნა რუსეთის სამომავლო სავარაუდო თავდასხმის თავიდან აცილების გარანტია იქნებაო, დიდად სანდო არ არის.

ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთში, აშშ-ის პრეზიდენტისათვის „მშვიდობა“ მხოლოდ საომარი მოქმედებების შეჩერებას ნიშნავს. იგი, როგორც ჩანს, დაინტერესებულია ისეთი ცეცხლის შეწყვეტით, რომელიც ამერიკელების ტელევიზორების ეკრანებიდან სისხლისღვრის კადრებს გააქრობს და ამერიკას სამხედრო დახმარების გაწევის ვალდებულება აღარ ექნება. მაგრამ ნამდვილი მშვიდობა ასე არ დამყარდება. თეთრ სახლს არ სურს უფრო საიმედო გადაწყვეტილებების მიღება, რომლის შემდეგ ომის განახლება აღარ მოხდება.

გარდა ამისა, დონალდ ტრამპი ძველებურად განიცდის რაღაც მისტიკურ, გაუგებარ აღფრთოვანებას ვლადიმერ პუტინისა და მისი მსოფლმხედველობის მიმართ, რომელიც მე-19 საუკუნის დროინდელია და რომლის მიხედვითაც, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს უნდა მართავდნენ არა მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტიტუტები, არამედ რამდენიმე ძლიერი და დიდი სახელმწიფოს ლიდერები, რომლებსაც თავიანთი გავლენის სფეროები ექნებათ.

უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის ისეთი დიპლომატიური ტალანტი არ აქვს, როგორც, მაგალითად, მის ფრანგ კოლეგას ემანუელ მაკრონს ან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს კირ სტარმერს, რომლებმაც ამასწინანდელი ვიზიტების შედეგად დონალდ ტრამპთან ურთიერთობის მოგვარება მოახერხეს. როგორც ჩანს, ვოლოდიმირ ზელენსკის თეთრმა სახლმა ჩასაფრება მოუწყო, რომელიც მისი დამცირებით დასრულდა. პრეზიდენტის ბრძოლა უკრაინის სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის თავის ყველაზე სახიფათო ფაზაში შევიდა, – წერს „ფაინენშელ თაიმსი“.

FOX NEWS media

## უკრაინელ სტუმარს „მაგარი ბიჭობა“ მოუნდა

**ამერიკული** ტელეარხის „ფოქს ნიუსის“ ვებ-საიტზე გამოქვეყნებულია ჟურნალისტ ვიქტორია კოუტსის სტატია სათაურით **„უკრაინის პრეზიდენტი ფიქრობდა, რომ ვაშინგტონში „მაგარ ბიჭად“ წარდგებოდა, მაგრამ ტრამპმა და ვენსმა მას იმედები გაუცრუეს“.**

ვოლოდიმირ ზელენსკის ეგონა, რომ იგი ვაშინგტონში ჩამოსვლით მასპინძელთა უსაზღვრო აღტაცებას გამოიწვევდა და ისეთ „კარტ-ბლანშს“ მიიღებდა, როგორსაც ჯო ბაიდენისა და კამალა ჰარისის ადმინისტრაციის დროს იღებდა ხოლმე, მაგრამ შეცდა.

უკრაინის პრეზიდენტი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში დადგმული კამერების წინ ისე იქცეოდა, თითქოსდა დონალდ ტრამპი ვალდებული იყო, მის მიმართ უსიტყვო მხარდაჭერა და პატივისცემა გამოეხატა. იმის ნაცვლად, რომ უთანხმოება არ გამოევლინა და თუ რაიმე საწინააღმდეგო ჰქონდა, დახურულ კარს მიღმა ეთქვა, ზელენსკიმ არასწორი რეაგირება მოახდინა პრეზიდენტ ტრამპისა და ვიცე-პრეზიდენტ ჯეიმს ვენსის ნათქვამზე, რითაც ამერიკელების წინაშე საკუთარ რეპუტაციას დიდი ზიანი მიაყენა. იმის ნაცვლად, რომ მას ეთქვა „მადლობა“, მან თავის ნათქვამში კრიტიკა შეურია და დამატებითი მოთხოვნები წამოაყენა.

ვოლოდიმირ ზელენსკი, შესაძლოა, ფიქრობდა, რომ დავა, რომელიც მან დაიწყო, „მაგარ ბიჭად“ წარმოაჩენდა, მაგრამ სინამდვილეში მისი მხრიდან გამოვლენილი ასეთი უპატივცემლობა არანაირ სიმპათიებს არ გამოიწვევს ამერიკელ გადასახადის გადამხდელში, რომლებმაც მძიმე შრომით გამომუშავებული ათობით მილიარდი დოლარი მის ქვეყანას მოახმარეს და რომლებმაც თავიანთი ხმა დონალდ ტრამპს მისცეს“.

THE WALL STREET JOURNAL.
WSJ

## ვაშინგტონისა და კიევის წარუმატებლობა

„**თეთრ სახლში** მომხდარი შეხლა-შემოხლით ორივე მხარე დაზარალდა – დონალდ ტრამპიც და ვოლოდიმირ ზელენსკიც: უკრაინის პრეზიდენტს, როგორც ჩანს, აღარ ექნება ისეთი ძლიერი ამერიკული მხარდაჭერა გრძელვადიანი თავდაცვისათვის, როგორიც ჰქონდა, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა საკუთარი ხელით აღმართა დაბრკოლება თავისვე მიზნის მიღწევის გზაზე – შესულიყო ისტორიაში მშვიდობისმყოფლის სახელით, რომელმაც კიევისა და მოსკოვის დაზავება მოახერხა, – ნათქვამია აშშ-ის გაზეთ **„უოლ სთრით ჯორნელის“** მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„ოვალურ კაბინეტში მომხდარი ემოციური აფეთქება ტრამპისა და ზელენსკის წარუმატებლობას ნიშნავს“** (ავტორები – ალექსანდრე უორდი და მერი მაკგროუ).

დონალდ ტრამპი და ჯეიმს ვენსი, რომლებმაც ვოლოდიმირ ზელენსკის საჯაროდ გამოუცხადეს საყვედური, ალბათ, ელოდნენ, რომ იგი თავის ხისტ პოზიციას შეარბილებდა და უთანხმოებას ასე თუ ისე დამალავდა, მაგრამ პირიქით გამოვიდა: ზელენსკიმ პოზიცია არ შეცვალა. საბოლოო ჯამში,მოლაპარაკება ჩაიშალა. ასეთი უთანხმოების გამოვლენა საჩუქარია რუსი პრეზიდენტისათვის: მოსკოვს შესაძლებლობა უჩნდება კვლავ უკარნახოს თავისი პირობები კიევს და ვაშინგტონს.

„არავინ ისე არ ტკბება თეთრ სახლში მომხდარი ინციდენტით, როგორც ვლადიმერ პუტინი. მოსალოდნელია რუსების სწრაფი მოქმედება, რომ კრემლმა მისთვის შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციით ისარგებლოს და სწრაფად გარიგდეს უკრაინის უსიტყვო კაპიტულაციის თაობაზე“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

The Guardian

## დიპლომატიის სიკვდილი პირდაპირ ეთერში

**ბრიტანულ** გაზეთ **„გარდიანში“** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„დიპლომატიის დაღუპვა: ტრამპი და ვენსი ზელენსკის დასაშინებლად გაერთიანდნენ“** (ავტორი - დევიდ სმიტი), რომელშიც აშშ-ის თეთრ სახლში მოხდარი ინციდენტი შეფასებულია როგორც „თანამედროვე ისტორიაში მომხდარ ერთ-ერთ უდიდეს დიპლომატიურ კატასტროფად“.

„ოდესღაც წმიდათა წმიდა ოვალურ კაბინეტში მწვავე დავა გაჩაღდა: დონალდ ტრამპისა და ჯეიმს ვენსის გაცხარებულ ბრალდებებს ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართ მთელი მსოფლიოო გაოცებისაგან ყბაჩამოვარდნილი უყურებდა.

ვოლოდიმირ ზელენსკის დონალდ ტრამპმა და მისმა გაქნილმა ვიცე-პრეზიდენტმა წინასწარ დაუგეს. მასპინძლებს ისეთი ვარაუდი ჰქონდათ, რომ სტუმარი გულხელდაკრეფილი იქნებოდა და „წიხლების რტყმევას“ მოითმენდა, მაგრამ მან „ძლიერთა ამა სოფლისას“ წინააღმდეგობა გაუწია. აშშ-ის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი შეეცადნენ, უკრაინელი კოლეგისათვის „ყური აეწიათ“ ონავარი ბავშვივით.

გარიგება არ შედგა. დაგეგმილი ერთობლივი პრესკონფერენცია გაუქმდა. ვოლოდიმირ ზელენსკი ვაშინგტონიდან ხელცარიელი წავიდა. მას თეთრ სახლში პირადი დიპლომატიური ჩერნობილი მოუწყეს. რაც შეეხება ევროპას... უინსტონ ჩერჩილის ბიუსტს, რომელიც ოვალურ კაბინეტში დონალდ ტრამპისა და ჯეიმს ვენსის ზურგს უკან იდგა, ალბათ, ბრაზისაგან ცრემლი წამოუვიდა...“, – წერს დევიდ სმიტი.



DER SPIEGEL

## რას გააკეთებს ევროპა?

**გერმანულ** ჟურნალ **„შპიგელში“** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ჯუნგლების კანონი თეთრ სახლში“** (ავტორი - რენე პფისტერი), რომელშიც კომენტირებულია აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენციაში მომხდარი სკანდალი სტუმარსა და მასპინლებს შორის.

დონალდ ტრამპსა და ვოლოდიმირ ზელენსკის შორის მომხდარი დაპირისპირება აჩვენებს, რომ ჩვენ უკვე ახალ ეპოქაში ვცხოვრობთ: დასავლეთის წამყვან სახელმწიფოს ამჟამად აღარ უნდა ვენდოთ.

დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ძალაზეა დამყარებული, არაორაზროვნად აჩვენებს „ძველ სამყაროს“ — ევროპას, რომ მას უკვე მეტად აღარ ექნება გარანტიები და ნდობა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. დიდი ალბათობით, ახდება წლების წინ ემანუელ მაკრონის მიერ ნათქვამი — ტრანსატლანტიკური ალიანსი მოკვდება. ჩვენ ვცხოვრობთ ახალ გეოპოლიტიკურ ჯუნგლებში, სადაც ისეთი ადამიანები ბატონობენ, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ტანკებისა და ბირთვული ქობინების იმედი აქვთ.

დონალდ ტრამპი შეიძლება ისევ არის ნატოს მიმართ მეტ-ნაკლებად ერთგული, მაგრამ განა უნდა ვენდოთ იმ ადამიანის სიტყვებს, რომელიც ვოლოდიმირ ზელენსკის დიქტატორს უწოდებს და მასზე ზეწოლას ახდენს, რომ ხელი მოაწეროს აშშ-სათვის სასარგებლო დოკუმენტს?

შესაძლოა გაჩნდეს საფუძვლიანი ეჭვები — იყო თუ არა გონივრული ნაბიჯი ვოლოდიმირ ზელენსკის მხრიდან ტრამპისა და ვენსისათვის ლექციის წაკითხვა პირდაპირი ეთერის დროს, მაგრამ ოვალურ კაბინეტში მომხდარ დრამას მხოლოდ მას ნუ დავაბრალებთ და ნუ ვიტყვით იმას, რომ მას დიპლომატიური ჩვევების დეფიციტი აქვს.

თვითონ დონალდ ტრამპმაც ცუდად მოამზადა პოტენციური გარიგება და რაც უფრო უარესია — შექმნა იმის შთაბეჭდილება, რომ ომში არ არსებობს მკაფიო განსხვავება აგრესორს (რუსეთს) და მის მსხვერპლს (უკრაინას) შორის.

სწორედ ამ გროტესკულმა მორალურმა მიდგომამ, როცა ორივე — აგრესორი და მისი მსხვერპლი დონალდ ტრამპმა „ერთ ტაფაში მოაქცია“, გამოიწვია ემოციები ვოლოდიმირ ზელენსკის მხრიდან, რომელსაც, სამწუხაროდ, ევროპისათვის დრამატული შედეგები ექნება.

გერმანიის მომავალ კანცლერს ფრიდრიხ მერცს და საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს მოუწევთ, რომ ევროპა ახალი სახიფათო სამყაროს უსიერ ჯუნგლებში გაატარონ. ეს ამოცანა რთულია, მაგრამ არის იმედი, რომ ისინი ამას რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით მოახერხებენ.

„რუსეთი, ევროზონასთან შედარებით, ეკონომიკურ ჯუჯას წარმოადგენს. რუსეთის ეკონომიკა ვერანაირად ვერ გაუწევს მეტოქეობას ევროკავშირის ეკონომიკას. თუ ევროპას ნამდვილად სურს, რომ რუსეთი შეაჩეროს, მან უნდა შექმნას ისეთი შემკავებელი სისტემა, რომელიც აშშ-სგან დამოუკიდებლად იმოქმედებს. და თუ პარიზი, ბერლინი და, ალბათ, ლონდონიც ნაბიჯებს სინქრონულად გადადგამენ და გამოვლენ თავიანთი ეროვნული ინტერესების ჩარჩოებიდან (ანუ ევროპული მასშტაბით იმოქმედებენ), მაშინ ბრიტანული და ფრანგული ბირთვული იარაღით (გაერთიანებული ძალისხმევით) შეიძლება საერთო-ევროპული ბირთვული ქოლგა შეიქმნას“, — ასეთი დასკვნაა გაკეთებული პუბლიკაციაში.

**წყარო: https://www.bbc.com/russian/articles/c3e4v03nnlzo**

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

## წერილი დედოფლისწყაროდან

# დამარხული იმედები

**ეს ორი მიტოვებული შენობა ქალაქ დედოფლისწყაროში სკოლის ქუჩაზე მდებარეობს, ასე ობლად გამოიყურება და მარად „ჭაბუკებად“ დარჩნენ.**

1988 წლის მარტში 40 ოჯახი გავწევრიანდით კოოპერატიულ ბინათმშენებლობა „ქიზიყში“. ორი წლის განმავლობაში ჩავრიცხეთ ყველამ თითქმის სრული თანხები, ორი ოთხსართულიანი კორპუსის მშენებლობისთვის. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ 2 წელიწადში ჩასაბარებელი ბინები დღემდე დაუმთავრებელია. 1991 წლის იმერეთის მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რეგიონის დახმარების მიზეზით ამწე წაიღეს და აღარც დაგვბრუნებია.

1989 წლის 9 აპრილის, ოთხმოცდაათიანი წლების სიდუხჭირის და დღემდე საქართველოში განვითარებული ტკივილ-



იანი მოვლენების მიუხედავად, მცდელობა არ დაგვიკლია. ყველა ინსტანციაში მრავალჯერ თხოვნა და შეთავაზებები გვქონდა, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ალბათ ჩვენი ქიზიყური სიდინჯის და მიმნდობლობის გამოც დაგვსაჯეს, და უფრო მეტად უნდა გვეაქტიურა.



ბოლო წლებში, დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენმა ქვეყანამ, ღმერთის წყალობით, ბეწვის ხიდზე მშვიდობით გაიარა და გადაურჩა უკუსვლასა და განადგურებას. ახლანდელი მთავრობა მცდელობას არ აკლებს საქართველოს განვითარებას და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას. ჩვენც იმედი მოგვეცა და გვინდა ჩვენს გულში ჩამარხული სურვილები სამზეოზე გამოვიტანოთ და ყველას ვთხოვოთ დახმარება, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა ექნება. 40 ოჯახის უკან ხომ ჩვენი ოჯახის წევრებიც გვიდგას. 35 წელია ჩვენი ახალგაზრდობა ამ საქმესთან ჭიდილს შევალიეთ. უკვე შვილიშვილებიც მოგვესწრო. 1999 წლიდან ჩვენი ჩარიცხული თანხები სახელმწიფო შიდა ვალად იქნა აღიარებული. დღეს, ღმერთის წყალობით, ჩვენი მთავრობის მესვეურების გულისხმიერების გვჯერა. გვწამს, რომ 40 ოჯახს გვიპატრონებენ, და ლტოვილების მსგავსად, უომრად დაზარალებულებს და სახლ-კარდაქცეულებს მოგვხედავენ და ჩვენთვის სასიკეთო გამოსავალს იპოვიან.

**ღმერთი იყოს ჩვენი და თქვენი მფარველი.**

ქალაქ დედოფლისწყაროს მცხოვრები,
**დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობა „ქიზიყის“ წევრები.**

## სამწუხარო რეალობა

# როდის დაბრუნდებიან ემიგრანტები?

მეხუთე გვერდიდან

სიხარულისა თუ ტკივილის გაზიარება და ბევრჯერ ემიგრანტებისთვის ეს უდიდესი გულისტკივილის ტოლფასია. სიმართლე მწარეა, თუმცა ფაქტი ერთია, რომ ისინი დილიდან საღამომდე შრომობენ, რათა უზრუნველყონ ოჯახები მატერიალურად, თუმცა აკლდებიან ყველაზე ღირებულს, ნამდვილ, ადამიანურ ურთიერთობებს (მშობელსა და შვილს შორის, პაპა-ბებიასა თუ შვილიშვილებს შორის).

მე ამ მონოლოგით არ ვცდილობ, ვიღაცას გული ვატკინო ან დავაკნინო, უბრალოდ, საზოგადოების სწორედ იმ ნაწილის აზრს გამოვხატავ, რომლებისგანაც ხშირად მსმენია ფრაზები: „მე ჩემი შვილის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ“, „ღმერთო, რა გული უძლებთ, რომ შვილიშვილებს ვერ იკრავენ გულში, „აქ ვინც ვცხოვრობთ, ვერ ვცხოვრობთ?“ „წავიდა? შეიძინა? მოუწყო შვილს ცხოვრება? რა აღარ ყოფნით?“, „შენი ტკბილი კერია უნდა გერჩივნოს ბევრ ფულს“! მოკლედ, ფრაზები ემიგრანტების მისამართით არის საოცრად ბევრი და საკმაოდ მძიმედ მოსასმენი, თუმცა რეალობასთან სრულიად შესაბამისობაში. კი, ვიცით, რომ ჩვენ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა ყველას მიბაძვით ცხოვრობს. ვიღაცას შესაძლოა გაუმართლა რაღაც პერიოდში და საკუთარი ცხოვრება სხვაზე უკეთ მოიწყო. ამიტომაც აქ შრომას, ან უმეტეს შემთხვევაში ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც „ეთაკილებათ“, მიდიან ემიგრაციაში და იქ, უმეტეს შემთხვევაში მოხუცების მომვლელებად მუშაობენ.

დიახ, ვიცით, რომ ყველანაირი სამუშაო დასაფასებელია და ყველანაირ შრომას პატივი უნდა ვცეთ, თუმცა ემიგრანტთა გარკვეულ ნაწილში არიან ადამიანები, რომლებიც იქ, საზღვარგარეთ, მოხუცის მოვლაში რომ იღებენ ანაზღაურებას, აქ კი, საკუთარ ქვეყანაში, ლოგინად ჩავარდნილ ოჯახის წევრს ყურადღებას არ აქცევდნენ. არ ვიცი, ნეტავ ეს ქართველების „კუდაბზიკა“ ხასიათისა თუ „ზემოდან ყურების“, უკადრისობის დამკვიდრებული პრინციპის ბრალი ხომ არაა? თუმცა, ასეა თუ ისე, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ მივიწევთ და სამწუხაროდ, ამ ყველაფერს დასასრული არ უჩანს.

**დღეს კი, როდესაც ტრამპი გახდა ამერიკის პრეზიდენტი, გულისფანცქალით შესცქერიან ჩვენი მოქალაქეები „უკანონო ემიგრანტობას“, რომლებიც წლებია ამერიკაში ფარულად იმყოფებიან. რეალურად თუკი არსებულ სიტუაციას განვიხილავთ, არავის აქვს უფლება, შეეწინააღმდეგოს ქვეყნის პირველ პირს, თუ რატომ იღებ ამა თუ იმ რეფორმასო?! ხომ გარჩინა, ხომ გაცხოვრა, ხომ შეგისრულა ოცნებები? ჰოდა, ანი ქვეყანა მისია და უფლება აქვს, როცა მოესურვება ქვეყნიდანაც გამოგისტუმროს.**



ასე რომ, ყველა ემიგრანტი უნდა იყოს იმისთვის მზად, რომ ადრე თუ გვიან საკუთარ ქვეყანაში მოუწევთ დაბრუნება.

* * *

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო გამახსენდა, სადაც 24 წელი ემიგრაციაში მყოფი შვილი სახლში ბრუნდება და მამა ხვდება. მამის თვალებს სიტყვები ვერ აღწერს, რომელიც კადრში ჩანს. ემიგრანტის მამას 24 წლის შემდეგ მაინც გაუმართლა, რომ შვილი დაბრუნდა.

თუმცა, არის სხვა შემთხვევებიც. ერთი მოხუცი ბებოს ნათქვამი გამახსენდა, რომელსაც შვილი და რძალი ემიგრაციაში ჰყავდა. სიკვდილის იმიტომ მეშინია, რომ მათი დარდი გამყვებაო და მართლაც იმ დარდით წავიდა ამქვეყნიდან.

**P.S. ბებოს მსგავსად, მართლაც რამდენი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან გულისტკივილით, რომლებსაც წლების მანძილზე ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრების ნახვა ენატრებოდათ?**

**თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ბოლოს მოგმართავთ თქვენ, ემიგრანტებო, რომ თქვენი ოჯახის წევრების უმრავლესობა, (გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით) უზომოდ მადლიერი არიან თქვენით. მნიშვნელოვანია, რომ იცოდეთ: რამდენად წარმოუდგენლადაც არ უნდა მიგაჩნდეთ, რომ თქვენ აქ თითქოს აღარავის სჭირდებით, ცდებით, თითოეული თქვენგანი ძვირფასი და ძალიან მნიშვნელოვანი ხართ!**

**დაე, ინებოს უფლის ძალამ, რომ ყველა ემიგრანტი სამშობლოში დაბრუნდეს! თქვენ კი, ემიგრანტებო, ემიგრაციაში შეძენილი გამოცდილება და ცხოვრების წესი, ახლა სამშობლოს აყვავებას და წინსვლას მოახმარეთ!**

**ნატო მელიქიძე,**
გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტი.

# ჩვენი გაზაფხული

**იყო დრო, როცა რუმინეთი სოცქვეყნებიდან ერთადერთი გახლდათ ბობოლათა მარაქაში გარეული და ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა.**

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, კომუნიზმზე ოცნებამაც ჭირი მოგვჭამა და ვითარება სარაგბო იერარქიაში ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვალა.





დიახ, თუ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მალევე მოვლენები ძველი სცენარით ინერციით ვითარდებოდა და კარპატელები თავიდან ბორჯღალოსნებთან დადებით ბალანსს სოლიდური უპირატესობით ინარჩუნებდნენ, თანდათანობით გაზაფხული ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა და უკვე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა საშვილიშვილო ფორა – გუშინდლამდე გამართული 29 მატჩიდან 19 მოვიგეთ, 1 ფრედ დავასრულეთ და მხოლოდ 9 წავაგეთ.

ანალოგიური გახლდათ ანთიმოზ ივერიელის სახელობის მეგობრობის თასის გათამაშებაში შექმნილი სურათი – 18-ჯერ ჩვენ ვიძალეთ და მუხებს მხოლოდ 6-ჯერ დავუთმეთ გამარჯვება.

მაშ ასე, გუშინ თბილისში გამართული ორმაგად საიუბილეო 30-ე ურთიერთშეხვედრა და ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასის 25-ე გათამაშება რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალის ეგიდით:

საფიქრებელი იყო, რომ თოვლიანი გაზაფხული კორექტივებს შეიტანდა თამაშში, მაგრამ საბედნიეროდ ბრძოლის დაწყებამდე მზემ გამოანათა და ლელოს სარბიელი სრულ მზადყოფნაში დახვდა სტუმარ-მასპინძელს.

აქამდე ძველ მეტოქეთა შორის სარეკორდოდ ითვლებოდა ბორჯღალოსანთა გამარჯვება 50-ქულიანი სხვაობით – 56:6. რიჩარდ კოკერილის დამოძღვრილი ბიჭები საქმეს ისე შეუდგნენ, რომ პირველივე ტაიმში აღნიშნული გრაფიკი გადაჭარბებით შევასრულეთ – 5 ლელო (თოდუა, ტაბუცაძის 48-ე სანაკრებო, ბაბუნაშვილი, აფრასიძე, კახოიძე), 2 გარდასახვა (მატკავა) და 29:0(!).

გასაკვირი არაა, რომ ასეთი ქარიშხლის შემდეგ ბორჯღალოსნები შედარებით მოდუნდნენ და შესვენების შემდეგ მხოლოდ 2 ლელო იკმარეს (მამაიაშვილი, კვესელაძე, მატკავამ კი გარდასახვები ამჯერადაც ზუსტად შეასრულა – 43:5.

მოკლედ, 16 მარტს მიხეილ მესხის სტადიონზე ფინალში ესპანეთი გვეწვევა, რომელმაც პორტუგალიაში პირენეული დერბი ფავორიტად მიჩნეულ მეზობლებს 42:31 მოუგო.

# სპორტის მინისტრმა მშვილდოსან ქალთა ახალგაზრდულ ნაკრებს წარმატება მიულოცა



**საქართველოს სპორტის მინისტრმა შალვა გოგოლაძემ საქართველოს მშვილდოსან ქალთა ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული ისტორიული წარმატება მიულოცა.**

სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოში მშვილდოსნობის განვითარების შესახებ ისაუბრეს.

მინისტრმა სპორტსმენებს მხარდაჭერა აღუთქვა და მომავალ ასპარეზობებში გამარჯვებები უსურვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი მეძმარიაშვილი, ფედერაციის პრეზიდენტი სიმონ ნოზაძე და ეროვნული ნაკრების მწვრთნელები.

თურქეთში გამართულ მშვილდოსნობის ევროპის ჩემპიონატზე 18 მეტრზე, დარბაზში, 21-წლამდელთა კატეგორიაში საქართველოს ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გვანცა არჩვაძის, ნია გათენაძისა და ანა ბოლოკაძის შემადგენლობით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს ნაკრების მიერ კონტინენტის პირველობაზე მოპოვებული პირველი მედალია.

ქართველი მშვილდოსნები ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით იმყოფებოდნენ.

მიღწეული წარმატების აღსანიშნავად სპორტსმენებმა ხელი მოაწერეს ეროვნული ნაკრების მაისურს, რომელიც ქართული სპორტის მუზეუმს გადაეცემა.



# ახალი წესი ფეხბურთში

**ფეხბურთის წესების ორგანიზაცია IFAB-მა ბელფასტში გამართულ სხდომაზე ოფიციალურად დაამტკიცა რამდენიმე წესი, რომელიც ძალაში 2025 წლის 1ივლისიდან შევა.**

შეცვლილი ან კორექტირებული წესებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ეს ამბავია: დამდეგი ზაფხულიდან მეკარეს ბურთით ხელში ყოფნა მაქსიმუმ 8 წამის განმავლობაში შეეძლება. თუ ხსენებულ დროში ის ბურთს არ შეელევა, მეტოქის სასარგებლოდ კუთხური დაინიშნება.

რა თქმა უნდა, ეს სიახლე იმისთვის დაინერგება, რომ მეკარეებმა დრო არ გაიყვანონ. მსაჯი მას ბოლო 5 წამის განმავლობაში ანიშნებს/შეახსენებს, რომ დრო ეწურება...




# ოქროს წყვილი

**უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გამართულ იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების ბოლო კომპლექტი სპორტულ წყვილებში გათამაშდა. მონაწილე 20 დუეტს შორის 1-ლი ადგილი და ოქროს მედლები 191.01 ქულით დაიმსახურა ჩვენი ნაკრების წყვილმა ანასტასია მეტელკინამ და ლუკა ბერულავამ.**

ანასტასია და ლუკა უკვე ზედიზედ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონები არიან იუნიორთა შორის, ხოლო ლუკა ბერულავამ ეს ტიტული უკვე მესამედ მოიხვეჭა. იგი კარინა საფინასთან ერთად 2022 წელსაც ამ უმაღლესი ჯილდოს მფლობელი გახდა.

# გენერალური რეპეტიცია

**„პარი სენ-ჟერმენი" დიდებულ კონდიციებშია და წაუგებელი სერია გააგრძელა. ლუის ენრიკეს გუნდმა ლიგა 1-ის 24-ე ტურში „ლილი" გაანადგურა – 4:1.**

ყველაფერი პირველივე ტაიმში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა მეტოქეს ოთხი ბურთი გაუტანეს: ბრედლი ბარკოლამ, მარკინიოსმა, უსმან დემბელემ და დეზირ დუემ, ხოლო „ლილის" პრესტიჟის გოლი ჯონათან დევიდის აქტივშია მე-80 წუთზე.

ამჯერად ხვიჩა კვარაცხელია ძირითად შემადგენლობაში არ იყო, რაც „ლივერპულთან" მატჩამდე როტაციით უნდა აიხსნას. ქართველი თამაშში 63-ე წუთზე უსმან დემბელეს ნაცვლად ჩაერთო და თავი ვერ გამოიჩინა, რადგან მისი გუნდი უკვე ძალების დაზოგვაზე იყო გადასული.

ხვიჩა კვარაცხელიას „პარი სენ-ჟერმენში" ყველა ტურნირზე ჩატარებულ 11 მატჩში 2 ბურთი აქვს გატანილი, 3-ჯერ საგოლე პასი შეასრულა და ერთხელ პენალტიც მოიპოვა.



პსჟ ლიგა 1-ს 62 ქულით ლიდერობს და უახლოეს მდევარ „მარსელთან" სოლიდური უპირატესობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში ლუის ენრიკეს გუნდი დაუმარცხებელია. პარიზელები მომდევნო ტურში 8 მარტს, სტუმრად „რენს" შეხვდებიან, თუმცა, მანამდე, 4 მარტს, ჩემპიონთა ლიგაზე „ლივერპულთან" პირველი მერვედფინალური მატჩი ელოდებათ.

პსჟ-ს ყველა ტურნირზე 27 ნოემბრის შემდეგ არ წაუგია – 22 მატჩი, 18 მოგება და 4 ფრე.



# მართლაც საშიში

**UFC-ის ქვემსუბუქი დივიზიონის ყოფილმა ჩემპიონმა ალექსანდრ ვოლკანოვსკიმ ჟურნალისტებთან მის მომდევნო ორთაბრძოლაზე ისაუბრა, სადაც ილია თოფურიაზეც გააკეთა კომენტარი.**

„დიეგო ლოპესთან საინტერესო ორთაბრძოლა იქნება, თუმცა გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ, შემდეგ კი მოვსარ ევლოევს გამოვიწვევ, რომელთანაც ბრძოლის გამართვა მომდევნო 3 თვეში მინდა."

**„ილიასა და მახაჩევის ბრძოლა? ილია თოფურია ძალიან საშიში მებრძოლია და მას ყველას დანოკაუტება შეუძლია. ის ერთადერთია, რომელსაც ყველაზე მეტი შანსი აქვს მახაჩევთან. ილიას მხოლოდ ერთი შეხება უნდა, რათა მეტოქე გათიშოს."** – განაცხადა ვოლკანოვსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურიამ საჩემპიონო ქამარი სწორედ ალექსანდრ ვოლკანოვსკის დამარცხების შემდეგ მოიპოვა.

საქართველოს რესპუბლიკა

3 მარტი დედის დღეა, გილოცავთ!




# დედა

მინდორ-ველი მოუჩითავთ იებს,
ორი ია შენი ორი თვალი,
გათენდება როცა გაიცინებ
განათდება შენი გზა და კვალი.
მხოლოდ შენთვის,
მხოლოდ შენთვის ვცოცხლობ,
ბედს დავეძებ თუ სიხარულს ვეძებ
თუ მიშველი შენ მიშველი მხოლოდ,
უცხო გზებზე და შორეულ გზებზე.
გამინათე გამინათე გზები,
შენი შუქი სულის სიმებს არხევს,
ამიყვანე მეცხრე ცაზე ზევით,
უკვდავების გზები დამანახე.
მე ვარ შენი ჰაწაწინა დარდი,
მე ვარ შენი უნაზესი სევდა,
ყველაფერზე მშვენიერი, ცხადი,
მაშინა ხარ, როცა სიზმრად გხედავ.
გაზაფხული ვიზეიმოთ, დედა,
ჩირაღდნები ანთებულან ირგვლივ,
სიმღერაში ჩემი გული ფეთქავს,
შენი მთვარე, შენი მზე და სხივი.
შენი შუქი სულის სიმებს არხევს,
ამიყვანე მეცხრე ცასა ზედა,
უკვდავების გზები დამანახე,
უკვდავების გზა მანახე, დედა!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

# გურამ გაბესკირიას უკვდავება!

**საქართველოს ეროვნულ გმირს გურამ გაბესკირიას 78 წელი შეუსრულდებოდა.**

**ამ დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მინისტრთა კაბინეტის წევრებმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, დიღმის ძმათა სასაფლაოზე გურამ გაბესკირიას საფლავი ყვავილებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს.**

**გურამ გაბესკირია 1947 წლის 2 მარტს სოხუმში დაიბადა. 1992 წელს სოხუმის მერი გახდა, ხოლო 1993 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და თავდაცვის საბჭოს წევრი. 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, აფხაზმა სეპარატისტებმა პოლკოვნიკი გურამ გაბესკირია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად დახვრიტეს.**

**გურამ გაბესკირიას ცხედარი ოკუპირებული სოხუმიდან 2017 წელს გადმოასვენეს და სამხედრო პატივით დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს.**

**2017 წლის 27 სექტემბერს გურამ გაბესკირიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.**

**ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.**



# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ივანე ოქროპირიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივანე ოქროპირიძე (პ/ნ 59001084094), გორის რაიონი, სოფელი ქერე

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გორის რაიონი, სოფელი ქერე (საკადასტრო კოდი: 66.51.11.233)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 17 მარტი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP106081625;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 1060816

**6. მოვალე:** ივანე ოქროპირიძე (პ/ნ 59001084094), გორის რაიონი, სოფელი ქერე

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP106081625; ლოტის ნომერი: 1060816).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 17 მარტის 12:00 საათამდე.

# სოხუმის დრამატულ თეატრში 11 მარტს პრემიერაა!

## ინკლუზიური სპექტაკლი „ეთერშია ჰელიოსი“

**ინკლუზიური** თეატრი-კონტაქტი“ – რიგით მეცხრე საავტორო სპექტაკლის პრემიერა სახელწოდებით „ეთერშია ჰელიოსი“, რომელიც გაიმართება სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე.

დრამატურგი და რეჟისორი – ირა კოხრეიძე, სცენოგრაფი/დადგმის ხელმძღვანელი – გიორგი მიქაბერიძე, მუსიკის ავტორი – **My Equinox Divine,** ვიდეო გრაფიკა – არჩილ ბედიაშვილი, ჟანრი: სიმბოლიზმი / აბსურდის დრამა.

მონაწილეობენ: მაშიკო თვალაბეიშვილი, გვანცა ჯავახიშვილი, ნანო გორდაძე, გიორგი გვასალია, ვასილ კიპაროიძე, ტატო სიხარულიძე, მანჩო კოხრეიძე, ლევან ბირკაძე ნინი ბიკოვი, ლუკა უშვერიძე, სესილი ღვინჯილია, მაიკო მინჯია, სანდრო დარსაველიძე, თაკო უჯმაჯურიძე, ანანო ჩიტაძე, დაჩი ზერაკიძე.

ეს ამბავი ერთი მხრივ მოგვითხრობს მითოლოგიური მზის ღმერთის ჰელიოსის შესახებ, მაგრამ ამავდროულად არაფერი აქვს საერთო ბერძნულ მითთან. სპექტაკლში ჰელიოსი არ წარმოადგენს ადამიანს ან პიროვნებას, ის მხოლოდ სიმბოლური გასაღებია თვითშემეცნების გზაზე აზროვნების ვაკუუმში მყოფი ადამიანისთვის.

მთავარი მოქმედება ხდება სიმულაციურ სამყაროში არსებულ სარკეებიან ოთახში, სადაც მოსახლეობა ზომბირებულ, „მძინარე“ მდგომარეობაში იმყოფება. ეკრანებზე მიჯაჭვულ ადამიანებს ტელე-რადიომაუწყებელი აწვდის საგანგებო ინფორმაციას, რომ შესაძლოა მათ სამყაროში გამოჩნდეს „ჰელიოსი“ და სიფრთხილისკენ მოუწოდებს მოსახლეობას.

სოციუმის წევრებში შეინიშნება დაბნეულობა. ისინი არაერთგავაროვნად რეაგირებენ ამ ინფორმაციაზე და ჰელიოსის გამოჩენაზეც სხვადასხვაგვარ მოლოდინებს ამყარებენ. ზოგიერთი მათგანი ხსნას მესიის გამოჩენაში ხედავს.

ნაჩვენებია, ციფრულ ოთახში გამოკეტილი სოციუმის კრიზისული მდგომარეობის თავისებურებები: შინაგანი ქაოსური და ამღვრეული განცდები, საკუთარ თავთან და ერთმანეთთან არსებული დაპირისპირება, გახლეჩილობა, ამპარტავნობა, შინაგანი სიცარიელის განცდა, ცინიზმი, ორპირობა, ტოქსიკური პოზიტივი და გულუბრყვილობა, რომელიც ვლინდება ყოველდღიურობაში. ფსიქოლოგიური კრიზისის ფონზე მოსახლეობის წევრები ერთმანეთს სთავაზობენ ფსევდოსულიერი და პიროვნული ზრდის სერვისებს და პროფანულ მომსახურებას.

მხარდამჭერები: საქართველოს კულტურისა და სპორტისა სამინისტრო, თბილისის მერია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **Yoga Cave** თბილისი.

**ინკლუზიური „თეატრი კონტაქტი“ დაარსდა 2015 წელს ირა კოხრეიძის და გიორგი მიქაბერიძის მიერ. დასი წარმოადგენს**




**პროფესიონალ მსახიობთა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა კოლაბორაციას,. ჩვენი შემოქმედების შინაარსი და სტრუქტურა თანამედროვე დრამატული ხელოვნების ახალი მიმართულებაა, რომელიც განკუთვნილია უნივერსალური კატეგორიის მაყურებლისთვის. არასტანდარტული რეპერტუარი და მიდგომები ამსხვრევს სტერეოტიპებს და ცვლის საერთოდ ინკლუზიურ ხელოვნებაზე წარმოდგენებს. ამ ხნის მანძილზე თეატრმა არაერთი ჯილდო და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.**

პოეტის ერთი ლექსი

# ჭეშმარიტება მეფობდეს უნდა!!!



## ფარნა რაინა

საუკუნეა –
ფიქრის და
განსჯის,
ვიცოდეთ: ზნედა
საიდან მოდის?!..
შეცდომა, ახლა,
მცირეც კი –
დაგვსჯის
არ დავწვათ აზრის
ხიდი და ბონდი!..
*
ნავსაყუდელი – ჩვენ
ჩვენი გვყოფნის,
წინაპართ ნათელ
გზას მოვდევთ, –
მძიმედ...
გამოცდა არის
დღეს
ჩვენი ყოფნის,
მივენდოთ სიბრძნეს, –
რწმენას და...
იმედს...
*
ვიცოდეთ უნდა –
დაო და ძამი,
ვინ
ქიშპის, შუღლის
სურვილით თვრების ?!..
არ უნდა იყოს ამ ცის ქვეშ
წამიც –
მამულის, ერის
და... ხალხის მტრების!!!..
*
სამყაროც ვნებამ
რად უნდა ბოლოს?!.
რად გვასხურებდეს
სისხლ – ცრემლის
ცა-ნამს?!.
თხა-მგლობა სანამ?! –
ბოლოს და... ბოლოს?!..
მოვეგოთ გონზე, –
გავქრებით სანამ!!!
*
დრო დავგმოთ –
ფლიდი, –
სიმართლის ქრობის,
სიკეთეს მივცეთ
გულების ძვრაი,
სიკვდილი თვითონ –
სიკვდილის ქობინს
სიცოცხლეს
სრულად
წალეკავს, რაიც!..
*
საუნჯეს სულის –
ედება ობი,
გვაშოროს:
ნარკო, კაზინო,
თული...
საუკუნეა –
სინდისის ქრობის,
საუკუნეა –
ძალის და...
ფულის...
*
ათასჯერ მითქვამს, –
გულს, რაიც –
მეგზნო,
,,მეობა“ გვაქრობს,
ფათურით
ფარსით...
საოცარია –
ესოდენ, ეგზომ,
რა ცოტამ იცის –
მზესულის
ფასი...
*
დღეს, თუკი
ვმისნობთ,
დღეს, თუკი
ვმოგვობთ,
დრო შეგვრევს სანამ –
ქართა და მტვერთა,
აროდეს როგორც,
აროდეს როგორც,
ერი და ბერი –
ერთსულ და... ერთად!!!..
*
არ ჭაჭანებდეს –
სიავის დელგმა,
ომი,
ცრემლები,
სისხლი და... თალხი,
მშვიდობის დარი
სუფევდეს ყველგან,
ბედნიერებით –
სუნთქავდეს ხალხი!!!..
*
არ დავსვათ ტახტზე –
იუდას გუდა,
ღირსების მადლით
შეგვმოსე, ღმერთო,
ჭეშმარიტება
მეფობდეს უნდა...
და... სიყვარული
მზესავით ენთოს!!!

**15. II. 2025წ**
**თელავი**

## პორტრეტების გამოფენა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში

**1 მარტს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში პირველად გაიხსნა ხელოვნების განყოფილების სახვითი ხელოვნების კოლექციაში დაცული ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული პორტრეტების გამოფენა. მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენა მიეძღვნა მხატვარ გრიგოლ მესხის დაბადებიდან 141-ე წლისთავს.**

გამოფენაზე წარმოდგენილია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში მოღვაწე ქუთაისელი მხატვრების მიერ შექმნილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სახეები. გამოფენა 20 მარტამდე გაგრძელდება.



## ვულოცავთ!

სრულიად საქართველოს რაჭის განვითარების ფონდი გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 50-ე წლისთავს ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, ბატონ



**ლევან მურუსიძეს.**

ღმერთმა მშვიდობა, ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერება არ მოგაკლოს!

**ოთარ კერვალიშვილი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, რაჭის განვითარების ფონდის თავმჯდომარე.**

## ნიკო მარის მშობლიურ სოფელში დიდი მათემატიკოსი იზრდება...



**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლაციხეში ნიკო მარის მშობლიურ სოფელში მომავალი ილია ვეკუა იზრდება. ეს საოცარი, ნიჭიერი ჭაბუკი ლუკა ვლადიმერის ძე დოლიძეა. ლუკა 2 წლის ასაკში უკვე ფლობდა რიცხვთა სამყაროს, ხოლო 3 წლისა ურთულეს მათემატიკურ გაანგარიშებებს აკეთებდა ზეპირად. აღსანიშნავია ისიც, რომ სულ პატარა ასაკიდან შესანიშნავად თამაშობს ჭადრაკს, დომინოს, ნარდს და თან მუდმივად სურს, რომ მისი პარტნიორი იყოს ძალიან ძლიერი.**

ლუკა მართლაც ძალიან გამორჩეული მოზარდია. ის შესანიშნავად ცეკვავს ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში „ირეგრო“.

ლუკას უმთავრესი ინტერესის საგანი არის მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ლუკა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლაციხის საჯარო სკოლის მე-7 კლასის წარმატებული მოსწავლეა. პედაგოგები მას ახასიათებენ, როგორც დიდი შესაძლებლობების მქონე ზრდილსა და კეთილგონიერ ყმაწვილს.

ლუკა მართლაც გამორჩეული ბიჭია. ის უფლისგან და გენეტიკურად არის დაჯილდოებული მათემატიკის უნიკალური ნიჭით. ლუკას დიდი ბაბუა, პროფესორი თენგიზ ვლადიმერის ძე დოლიძე გახლდათ მათემატიკოს-კიბერნეტიკოსი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ღმერთმა ინებოს, რომ ლუკა დოლიძემ ოქროს მედალზე დაამთავროს საჯარო სკოლა და წარჩინებული შედეგებით ჩაირიცხოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათემატიკის დეპარტამენტში და გახდეს დიდი ილია ვეკუას დარი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი მათემატიკის დარგში.

ჩვენ კი (ყველაზე მეტად ლუკას მშობლები და პედაგოგები) ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ნიჭიერებამ გაიმარჯვოს და დაიპყროს ყველა მწვერვალი.

ნიჭიერება შრომისმოყვარეობასთან თანაზიარი მართლაც განაპირობებს უდიდეს წარმატებებს. ჩვენი ნიჭიერი ლუკა უფლის წყალობით უფრო მეტად გახდება შრომისმოყვარე და უფალი ინებებს, რომ საქართველოს ჰყავდეს კიდევ ერთი დიდი მათემატიკოსი.

**თამარ დოლიძე**

## ,,ქართული სიძველეების“ საარქივო მასალები

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა პროექტ „ქართული სიძველეების“ ფარგლებში მოძიებული საარქივო მასალის გამოქვეყნება დაიწყო.**

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ და რეგიონულ არქივებში ქართული სიძველეების შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტებია დაცული: სიები, ფოტოები, ჩანახატები, ნახაზები. საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი XVIII-XX საუკუნეებში საქართველოდან განძის გატანის ყველაზე მასშტაბური შემთხვევები (ბატონიშვილების ქონება, ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზნული განძი, საფრანგეთში გატანილი სიძველეები და ა. შ.). განძის დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა, თუმცა ნაწილი დაიკარგა ან უცხოეთის სხვადასხვა მუზეუმსა თუ კერძო კოლექციაშია განთავსებული. ამ საკითხის კვლევაში საარქივო მასალა შეუცვლელი წყაროა.

პროექტზე ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილება რამდენიმე წელია, მუშაობს. მოძიებული და ანოტირებულია ათეულობით ფოტო და წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ქართული სიძველეების საკითხს შეეხება. პროექტის მიზანია აღნიშნულ თემაზე ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების თავმოყრა, შესწავლა, მონოგრაფიული ნაშრომისა და ალბომის მომზადება.

ეროვნული არქივი პროექტზე მუშაობას განაგრძობს და საზოგადოებას ეტაპობრივად წარუდგენს გამოვლენილ სიახლეებსა და კვლევის შედეგებს.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);
რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),
შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**
პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),
სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**
ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**
გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C-323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 5 მარტს